

მაისი
2018

პოლიტიკური
ეოპათიანობის
კრიზისი



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

პოლიტიკური ეოპოლიტიკური პრეზენტაცია

თბილისი 2018



National Endowment for Democracy

Supporting freedom around the world



საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია, რომელიც 2011 წლის დასაწყისში დაარსდა. GIP ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით. ორგანიზაცია ასევე ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობისა და დემოკრატიული პროცესების განვითარებაში სახალხო ჩართულობას. 2013 წლის დეკემბრიდან საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი არის ეუთოს აკადემიური ინსტიტუტებისა და ანალიტიკური ორგანიზაციების ქსელის წევრი.

პუბლიკაცია მომზადდა „ნაციონალური ფონდის დემოკრატიისთვის“ ფინანსური მხარდაჭერით. აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება, არ ემთხვეოდეს „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტისა“ და „ნაციონალური ფონდის დემოკრატიისთვის“ თვალსაზრისს.

რედაქტორი:	კორნელი კაკაჩია
ავტორები:	ბიძინა ლებანიძე
	ჯოსეფ ლარსენი
	ლევან კახიშვილი
	ივანნა მაჩიტიძე

გამომცემლობა: გრიფონი

© Georgian Institute of Politics, 2018

Tel: +995 599 99 02 12

Email: info@gip.ge

www.gip.ge

ნინასიტუაცია

დამოუკიდებლობის გზაზე პირველი ნაბიჯების გადადგმის შემდეგ, სტაბილური და მდგრადი დემოკრატიის მშენებლობა საქართველოს მთავრობების უმთავრესი პრიორიტეტია. შეიძლო აქტორებთან ერთად, როგორებიც არიან: პოლიტიკური ელიტები, სამოქალაქო საზოგადოება და მოსახლეობა, საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესი მნიშვნელოვნად იყო მხარდაჭერილი გარე აქტორების, განსაკუთრებით ევროკავშირის და აშშ-ის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ლია და კონკურენტუნარიანი პოლიტიკური და საარჩევნო გარემოა, ქვეყნის პოლიტიკური ინსტიტუტების კონსოლიდაციის უნარი გრძელვა-დიანი დემოკრატიული კულტურის გარშემო კვლავ ბუნდოვანი რჩება¹.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ, მოლდოვასა და უკრაინასთან ერთად, ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას და აიღო მტკიცნეული რეფორმების განხორციელების პასუხისმგებლობა, მას ჯერ კიდევ არ აქვს ევროკავშირში განვითარინების პერსპექტივა, დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებისგან განხვავებით.

თუმცა, ევროკავშირთან გაღმავებული თანამშრომლობა ევროკავშირი-საქართველოს 2017-2020 წლების განახლებული ასოცირების დღის წესრიგით დადასტურდა² (21 ნოემბერი, 2017), რომელიც გაძლიერებული პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციისთვის საჭირო ამბიციურ რეფორმებს ეხება, აღმოსავლეთ პარტნიორობის ბრიუსელის სამიტის დეკლარაცი-

აში, აღმოსავლეთ პარტნიორობის ასოცირებული სახელმწიფოებისთვის წევრობის პერსპექტივის დაფიქსირება არ მოხდა (24 ნოემბერი, 2017). მიუხედავად იმისა, რომ წევრობის პერსპექტივა ამჟამად განხილვის საგანს არ წარმოადგენს, ინსტიტუტებისა და დემოკრატიის გაძლიერებისთვის რეფორმათა ჯაჭვის და ევროპული და ევრო-ატლანტიკური არჩევანის შესანარჩუნებლად საქართველოს მთავრობას ევროკავშირიდან მომდინარე დამატებითი გარე სტიმულები ესაჭიროება.

ევროპეიზაციის პროცესისადმი საზოგადოების მხარდაჭერის კვალდაკვალ, საქართველოში ბოლო დროს მომხდარმა ინციდენტებმა, მათ შორის დისიდენტი აზერბაიჯანელი უურნალისტის აფგან მუხ-თარლის აზერბაიჯანში არალეგალურმა გა-დაყვანამ, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია „ფრიდომ ჰაუსის“ ანგარიშში საქართველოს დემოკრატიის კოეფიციენტის შემცირებაზე (შემცირდა 4.61-დან 4.68-მდე).³ მუხთარლის შემთხვევამ, თურქეთის მთავრობის მოთხოვნით საქართველოს პოლიციის მიერ მუსტაფა ემრე ჩაბუქის დაკავების ფაქტთან ერთად, მისი უშუალო მეზობლებისგან საქართველოს მთავრობაზე მომდინარე ზენოლის არსებობაზე მიუთითა. აღნიშნულმა შემთხვევებმა, საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესზე ნეგატიური გავლენა იქონია.

მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო დონეზე, საქართველოში ნახევრად საპარლამენტო სისტემა საპარლამენტო მმართ-

¹ Cecire. M. Georgia's Long-Shot Democracy Not Quite Liberal. Foreign Affairs. October 20, 2016. Available at: <https://www.foreignaffairs.com/articles/georgia/2016-10-20/georgias-long-shot-democracy>

² EU and Georgia adopt revised Association Agenda, European External Action Service (EEAS) ხელმისაწვდომია: https://eeas.europa.eu/delegations/georgia/35934/eu-and-georgia-adopt-revised-association-agenda_en

³ Freedom House Georgia-Nations in Transit, Country Report 2018, ხელმისაწვდომია: <https://freedomhouse.org/report/nations-transit/2018/georgia>

ველობით ჩანაცვლდა, პრაქტიკულ დონეზე აშკარავდება პოლიტიკის ფორმირების პროცესის ნაკლოვანებები. ამის ნათელი მაგალითა, მთავრობის მიერ ინიცირებული საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებიც, როგორც სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ასევე ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერის გარეშე განხორციელდა. მიუხედავად იმისა, რომ ეუთოს (OSCE/ODIHR) სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს ფუნდამენტური თავისუფლებების პატივისცემაზე მიუთითებს, ის ასევე ხაზს უსვამს მმართველი პარტიის დომინირებას მთლიან საარჩევნო კონტექსტში⁴.

საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის ანალიზის შედეგად, შესაძლოა დავასკვნათ, რომ ამ დრომდე საერთაშორისო აქტორები წარმატებით იყენებდნენ პოლიტიკურ პირობითობას საქართველოში რეფორმების წასახალისებლად. თუმცა, საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების კონსოლიდაციისთვის მხოლოდ საგარეო ზენოლა არ არის საკმარისი. ქვეყანაში დემოკრატიზაციის ნარატივის ხელახლა ფორმირების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება შიდა აქტორებსაც. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია დაისვას შეკითხვა: რამდენად არის შესაძლებელი საქართველოში დემოკრატიზაციის პროცესის გაგრძელება დასავლეთის პოლიტიკური პირობითობის გარეშე?

აღნიშნული პუბლიკაცია, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ „ნაციონალური ფონდი დემოკრატიისთვის“ (NED) მხარდაჭერით, პროექტის – “დემოკრატიული განვითარების ხელშეწყობა“ – ფარგლებში მომზადდა. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებასა და კარგი მმართველობის წახალისებას პოლიტიკური დისკურსის ფორმირების პროცესში საზოგადოების ჩართულობის გზით ცდილობს. პუბლიკაცია ოთხი პოლიტიკის დოკუმენტისგან შედგება. თითოეული მათგანი საქართველოს ევროპეიზაციისა და დემოკრატიზაციის დღის წესრიგის ძირითად ასპექტებზე პოლიტიკურ რეკომენდაციებს იძლევა. ეს საკითხებია: დასავლეთის პოლიტიკური პირობითობის გავლენა ქვეყნის საშინაო დღის წესრიგზე; დემოკრატიული კონსოლიდაციის მნიშვნელობა; რეგიონული აქტორების (თურქეთი, აზერბაიჯანი და რუსეთი) გავლენა საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესზე. წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტების კრებული დემოკრატიულ პროცესებში საზოგადოების ჩართულობის წახალისებას ისახავს მიზნად. იგი მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის სახელმწიფო პირებისთვის, სფეროს ექსპერტებისთვის, სამოქალაქო საზოგადოების აქტორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის, რომლებიც საქართველოს დემოკრატიული წინავლის პროცესში არიან ჩართული.

კონცელი კაკაჩია

საქართველოს პოლიტიკის
ინსტიტუტის დირექტორი

⁴ OSCE/ODIHR Election Observation Mission Final Report, Local Elections 2017, ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/odihr/elections/georgia/373600?download=true>

დემოპრატიის მუნიცილობა
საქართველოში: დასავლეთის
კოლიტიკური სტანდარტები და მათი
ზეგავლენა კოლიტიკური პარტიების
დღის ცესრიზე

ბიბინა ლებანიძე¹

შინაარსი

დასავლეთში არსებული მოლოდინების მიუხედავად, დემოკრატიის გარედან ხელშეწყობამ ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სახელმწიფოების დიდ ნაწილში ხელშესახები შედეგები ვერ მოიტანა, თუმცა საქართველო ამ ტენდენციის ერთ-ერთი იშვიათი გამონაკლიისია.² ბოლო ათი წლის განმავლობაში, შავი ზღვის აუზის ქვეყანამ წინ წაინია როგორც კარგი, ისე დემოკრატიული მმართველობის კუთხით და მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დემოკრატიზაციის პროცესი ჯერ კიდევ არ დასრულებულა, ქვეყანამ არაერთ დემოკრატიულ გარდვევას მიაღწია, რამაც, შედეგად, ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხი აამაღლა. წინამდებარე პოლიტიკის ნაკვევში განხილულია, თუ რამდენად აყალიბებს საქართ-

ველოში დემოკრატიის პროცესს დემოკრატიული პირობითობა³ – დემოკრატიის ხელშეწყობის უმთავრესი მექანიზმი, რომელსაც აშშ და ევროკავშირი (რომელიც პოლიტიკის ნაკვევში მოხსენიებული არიან, როგორც „დასავლეთი“) იყენებს; გაანალიზებულია ბოლო ათწლეულის ტენდენციები და წარმოდგენილია რეკომენდაციები ერთი მხრივ დემოკრატიის ხელშეწყობი გარე აქტორებისთვის, თუ როგორ არის შესაძლებელი პირობითობაზე დაფუძნებული სტრატეგიის გაუმჯობესება საქართველოში და, მეორე მხრივ, საქართველოს მმართველი და ოპოზიციური პარტიებისთვის, თუ როგორ შეიძლება დემოკრატიზაციის გარე წესებთან გამკლავება.

შესავალი

წარმატებული პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების ფონზე, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის შესაძლებლობა - რასაც აკადემიური წრეები და პოლიტიკის სპეციალისტები დემოკრატიულ პირობითობას უწოდებენ – უკვე დიდი ხანია დასავლეთისთვის გავლენის გაძლიერებისა და ლიბერალური რეფორმების ხელშეწყობის ყველაზე ძლიერ მექანიზმად იქცა. 1990-იანი წლების ბოლოს, დემოკრატიულმა პირობითობამ ხელი შეუწყო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწი-

ფობში დემოკრატიის კონსოლიდაციასა და საბაზრო ეკონომიკის რეფორმების განხორციელებას, შედეგად კი ამ ქვეყნების ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკურ აღიანსში გაწევრიანებას. ანალოგიურად, აღმოსავლეთ ევროპული სახელმწიფოების წარმატებული ტრანსფორმაციის გავლენით დაიწყეს დემოკრატიული რეფორმების გატარება დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებმა. აღნიშნული რეფორმების საბოლოო მიზანია ამ ქვეყნების ევროკავშირში სრული ინტეგრაცია.

¹ ბიძინა ლებანიდე არის საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი და პრემენის უნივერსიტეტის ლექტორი.

² მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ: Freedom House, "Nations in Transit 2017. Table of Country Scores," wvdomis TariRi 1 dekemberi , 2017, <https://freedomhouse.org/report/nit-2017-table-country-scores>; Freedom House, "Freedom in the World 2018: Democracy in Crisis," წვდომის თარიღი 19 იანვარი, 2018, https://freedomhouse.org/sites/default/files/FH_FITW_Report_2018_Final_SinglePage.pdf

³ წინამდებარე დოკუმენტში დემოკრატიული პირობითობა და დემოკრატიული/პოლიტიკური სტანდარტი გამოყენებულია სინონიმებად. ინგლისურენოვან აკადემიურ ლიტერატურაში, ისევე როგორც აქტიურ პოლიტიკურ სივრცეში, დემოკრატიული პირობითობა მოიაზრებს დასავლეთის მიერ სხვა ქვეყნების მთავრობების მოტივირებას დემოკრატიული რეფორმების გასატარებლად, ერთის მხრივ ზეწოლის (მუქარა, სანქციები), მეორეს მხრივ სარგებლის შეთავაზების (სხვადასხვა სახის ფინანსური დახმარება, ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება, უვიზო რეჟიმი და ა.შ.) გზით.

ბალკანეთის სახელმწიფოებისგან განსხვავებით, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს არ აქვთ უახლოეს მომავალში ეპროგავშირში განევრიანების შესაძლებლობა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობაც თანდათან უფრო გრძელვადიანი პერსპექტივა ხდება. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ დასავლეთის დემოკრატიულმა პირობითობამ ამ სახელმწიფოებში ყველაზე მიმზიდველი სტიმული დაკარგა. ევროკავშირმა მისი ჩანაცვლება სხვა მექანიზმებით სცადა, ისეთით, როგორიცაა, მაგალითად, ასოცირების შეთანხმება, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, უვიზო მიმოსვლა თუ გაზრდილი ფინანსური დახმარება („მეტი მეტისათვის“). შესაბამისად, შედარებით ნაკლებად მიმზიდველი შეთავაზებების მიუხედავად, დემოკრატიული პირობითობა გახდა ის ძირითადი ინსტრუმენტი, რამაც ხელი შეუწყო პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარებას ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. თუმცა დასავლეთის მიერ პირობითობაზე დაფუძნებული დემოკრატიის წახალისებამ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების დიდ ნაწილში ის შედეგები ვერ გამოიღო, რომელსაც ელოდნენ. ბელარუსში დასავლეთის ზენოლამ არსებულ რეჟიმს ვერაფერი დააკლო, ხოლო სომხეთსა და აზერბაიჯანში დასავლეთმა დღემდე ვერ მოახერხა დემოკრატიული პირობითობის თანმიმდევრულად გამოყენება. საქართველოში, უკრაინასა და მოლდოვაში კი ევროკავშირისა და აშშ-ის მიერ გამოყენებულმა პირობითობის სტრატეგიამ გარკვეულ წარმატებას მიაღწია. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, დასავლური პირობითობა საქართველოს დემოკრატიული რეფორმების განუყოფელი ნაწილი იყო და დასავლეთის მხრიდან ზენოლამ, გარკვეულ შემთხვევებში, შეძლო საქართველოში მმართველი პოლიტიკისა და მიზნების მიერ არჩევნების გაყალბების მიმართ ამომრჩევლის წარმატებული პროტესტი 2003 წელს და 2012 წლის ხელისუფლების ცვლილება, დასავლეთის პირობითობის გარეშე უფრო რთული მისაღწევი იქნებოდა. აღსანიშნავია, რომ დასავლეთის პირობითობას საქართველოში ხარვეზებიც ჰქონდა: უფრო მეტიც, დემოკრატიული უკუსვლის რამდენიმე შემთხვევაში ის საერთოდ არ ყოფილა გამოყენებული. დასავლეთის მიერ

გზით და შემდგომი პოლიტიკური პროცესები მნიშვნელოვნად იყო განპირობებული დასავლეთის მხრიდან დემოკრატიული პირობითობის გამოყენებით. ევროკავშირის წევრობა, როგორც მთავარი წამახალისებელი ფაქტორი, საქართველოს შემთხვევაში ჩანაცვლდა დასავლეთზე ასიმეტრიული დამოკიდებულებით, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს მმართველი პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულებით დასავლეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მხარდაჭერაზე, რამაც ისინი დასავლეთის მხრიდან ზენოლისადმი მოწყვლადი გახადა.

როგორც ფაქტები გვაჩვენებს, მხოლოდ დასავლეთის პირობითობა ვერ უზრუნველყოფს დემოკრატიულ ტრანფორმაციას სხვა ქვეყნებში, თუმცა იგი დამატებითი მნიშვნელოვანი მექანიზმია შიდა დემოკრატიული პროცესების სტაბილიზაციისთვის ისეთ გარდამავალ ქვეყნებში, როგორიცაა საქართველო. მისი ძალა მდგომარეობს იმაში, რომ შეუძლია, ერთი მხრივ, მნიშვნელოვნად გააძლიეროს რეფორმების მომხრე შიდა აქტორები, მაგალითად სამოქალაქო საზოგადოება და ოპოზიციური პარტიები, ხოლო, მეორე მხრივ, შეზღუდოს რეფორმების მოწინააღმდეგე ჯგუფების გავლენა, განსაკუთრებით კი ძალაუფლების დაკარგვის შიშის მქონე, ხელისუფლებაში მყოფი რეჟიმისა და მმართველი პარტიის არადემოკრატიული პოლიტიკა. ისეთი დემოკრატიული გარდატეხის მოხდენა, როგორიც იყო მმართველი გუნდის მიერ არჩევნების გაყალბების მიმართ ამომრჩევლის წარმატებული პროტესტი 2003 წელს და 2012 წლის ხელისუფლების ცვლილება, დასავლეთის პირობითობის გარეშე უფრო რთული მისაღწევი იქნებოდა. აღსანიშნავია, რომ დასავლეთის პირობითობას საქართველოში ხარვეზებიც ჰქონდა: უფრო მეტიც, დემოკრატიული უკუსვლის რამდენიმე შემთხვევაში ის საერთოდ არ ყოფილა გამოყენებული. დასავლეთის მიერ

დემოკრატიული სტანდარტების დაცვის შერჩევითი მოთხოვნა შეიძლება რამდენიმე ფაქტორით იყოს განპირობებული . საქართველოს შემთხვევაში, მიზეზი შეიძლება იყოს ოპოზიციის სისუსტე, არასტაბილურობის საფრთხე და წინააღმდეგობრივი კავშირი დამოკრატიზაციასა და სახელმწიფოს მშენებლობას შორის. წინამდებარე დოკუმენტში

შედარებულია საქართველოში დასავლეთის პირობითობის წარმატებული და წარუმატებელი შემთხვევები და განხილულია დასავლეთის მხრიდან პირობითობის გამოყენების პრაქტიკა და ამ პრაქტიკის როლი საქართველოში დემოკრატიის მშენებლობის პროცესში.⁴

დასავლეთის დემოკრატიული პირობითობის წარმატებული მაგალითები საქართველოში

შევარდნაძის ავტოკრატიული მმართველობის შეკავება

ბოლო ოცი წლის განმავლობაში, სამ განსაკუთრებულ შემთხვევაში დასავლეთმა წარმატებით შეძლო საქართველოში დემოკრატიული პირობითობის გამოყენება სამი სხვადასხვა მთავრობის მიმართ: 2003 წლის რევოლუციის, 2012 წლის არჩევნების გზით ხელისუფლების გადაბარების და ბოლოს – „რუსთავი 2“-ის საქმის დროს. სამივე შემთხვევაში, დასავლეთის ჩარევა გადამწყვეტი აღმოჩნდა ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და მმართველი გუნდის ძალაუფლების გაკონტროლებისთვის. თუმცა დასავლეთის პირობითობა სამივე შემთხვევაში განსხვავდებოდა და დროთა განმავლობაში იცვლებოდა ის წამახალისებელი ფაქტორებიც, რაც პირობითობის წარმატებას ედო საფუძვლად. ვარდების რევოლუციის საწყის ეტაპზე და რევოლუციის პერიოდში, ევროკავშირი და აშშ ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების წინააღმდეგ ძირითადად პოლიტიკური და

ფინანსური ზეწოლის მექანიზმებს იყენებდნენ. დონორებმა საქართველოს ფინანსური დახმარება შეუმცირეს და არ აღიარეს 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგები, რამაც მეტი ლეგიტიმაცია შემატა ქუჩის პროტესტს, რასაც საბოლოოდ შევარდნაძის რეჟიმის დასრულება მოჰყვა. შევარდნაძის მთავრობის წინააღმდეგ პოლიტიკური პირობითობის გამოყენება იყო დასავლეთის რეაქცია მისი მმართველობის ბოლო წლებში საქართველოს არშემდგარ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესზე, რომელიც კორუფციით, მუდმივი ეკონომიკური კრიზისითა და უუნარო სახელმწიფო ინსტიტუტებით ხასიათდებოდა.

2003 წლის მოვლენების დროს, დასავლეთის მიერ პირობითობის გამოყენების მეორე მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენდა სულ უფრო მზარდი ნაპრალი ხელისუფლებაში მყოფ რეჟიმისა და საზოგადოებას

⁴ აღსანიშნავია, რომ დემოკრატიული პირობითობა მნიშვნელოვანი, თუმცა არა ერთადერთი ინსტრუმენტია დასავლეთის მხრიდან საქართველოში დემოკრატიის ხელშეწყობის საკითხში. მას ყოველთვის თან ახლდა ფინანსური მხარდაჭერის, შესაძლებლობების განვითარების და პოლიტიკური დიალოგის ინსტრუმენტი თუ დარწმუნების სხვა მექანიზმები. სხვადასხვა დასავლერი ნახევრად სამთავრობო და არამთავრობო ორგანიზაციები (მაგალითად გერმანიისა და აშშ-ის პოლიტიკური ფონდები, განვითარებაზე მომუშავე ინსტიტუტები და არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია) საკმაოდ დიდ ფინანსურ და ადვოკატირების რესურსს გამოყოფს პოლიტიკური განათლების, პოლიტიკური პარტიების პროგრამებისა და სტრუქტურების განვითარების, საკანონმდებლო საქმიანობაში დემოკრატიული ხარისხის გაზრდის და მმართველობის ყველა დონეზე გამჭვირვალობისა და დემოკრატიული ანგარიშვალდებულების პრინციპების დანერგვის მიმართულებით. შესაბამისად, საქართველოში პირობითობის პრინციპმა ეფექტურად იმუშავა სწორედ იმიტომ, რომ მასთან ერთად გამოყენებული იყო დემოკრატიის ხელშეწყობის სხვა ინსტრუმენტებიც.

შორის, რომლისთვისაც სულ უფრო მიუღებელი ხდებოდა არსებული პოლიტიკური სტატუს კვო. სტატუს კვოს შეცვლის წინაპირობას კი, ძლიერი ოპოზიციის არსებობა იძლეოდა. სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებთან ერთად 2003 წლის ქუჩის აქციებს სათავეში ედგნენ პოლიტიკოსები, რომლებიც მცირე ხნით ადრე შევარდნადის მთავრობის რეფორმატორი გუნდის წევრებად იწოდებოდნენ. ისინი დასავლეთის მიერ მთავრობის რეალურ აღტერნატივად განიხილებოდნენ და აღიქმებოდნენ ისეთ ლიდერებად, რომელთაც კორუფციის დამარც-

ება და საჭირო რეფორმების წამოწყება შეეძლოთ. ამდენად, დასავლეთის მხრიდან ოპოზიციის მხარდაჭერა და შევარდნადის მთავრობის მიმართ პირობითობის პრინციპის გამოყენება სამი ფაქტორით იყო განპირობებული: რეფორმის მხარდაჭერი ძლიერი ოპოზიციის არსებობით; კორუფციისა და უმოქმედო მთავრობის ფონზე საქართველოს შეუმდგარ სახელმწიფოდ ქცევის საფრთხით და მმართველი გუნდის მიმართ საზოგადოებრივი მხარდაჭერის ნაკლებობით.

2012 წელს არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა

დასავლეთის პირობითობის კიდევ ერთი წარმატებული შემთხვევა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ხელისუფლების ცვლილებას უკავშირდება. ვარდების რევოლუციის შემდგომი პერიოდისგან განსხვავებით, როდესაც საქართველოს მთავრობას მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით დასავლეთის უპირობო მხარდაჭერა ჰქონდა, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ევროკავშირსა და აშშ-ს საქართველოს მთავრობაზე ზეწოლის მოხდენისთვის სამმა ფაქტორმა უბიძგა. უპირველეს ყოვლისა, დასავლეთის თვალში გაფერქმრთალდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (ენმ) რეფორმების პროცესი და, შესაბამისად, სააკაშვილის პარტიის ხელისუფლების სათავეში დარჩენა სულ უფრო მეტად იდენტიფიცირდებოდა რეფორმების შეჩერებასთან. მეორე ფაქტორი იყო ქვეყნის შიგნით ენმ-ს მზარდი არაპოპულარობა, რომელსაც თან დაერთო მილიარდელი ბიძინა ივანიშვილის გარშემო ოპოზიციურ ბლოკ „ქართული ოცნების“ შექმნა, რომელიც დასავლეთში ერთ დროს ფავორი-

ტი ენმ-ს შემცვლელ ძალად აღიქმებოდა. შიდა ფაქტორების განხილვისას, როგორც რევოლუციის გზით შევარდნადის ხელისუფლებიდან ჩამოშორების შემთხვევაში, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მმართველი რეუიმის საზოგადოებასთან გაუცხოების ფაქტორი, რამაც დასავლეთის მხრიდან ენმ-ს მხარდაჭერა შეასუსტა. საბოლოოდ, კიდევ ერთი, მესამე ფაქტორი დასავლეთის პირობითობის ამუშავებისა იყო ის, რომ დასავლეთი არ ეთანხმებოდა პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილის იდეას, გადმოელო კონსტიტუციის შეცვლის „პუტინის მოდელი“ და ორი საპრეზიდენტო ვადის შემდეგ პრემიერმინისტრი გამხდარიყო. ამ სცენარის თავიდან ასაცილებლად, ევროკავშირმა და აშშ-მ ენმ-ს მთავრობაზე დემოკრატიული წესები გაზარდეს და 2012 წელს ღია და გამჭვირვალე არჩევნების ჩატარებისთვის მმართველ გუნდს მოუწოდეს, მონაწილეობა მიეღო ძალაუფლების მშვიდობიანად გადაბარებაში⁵. შესაბამისად, აშშ-მ და ევროკავშირმა საქართველოსთან მომავალი თანამშრომლობის წინაპირობად დემოკრა-

⁵ Tanja A. Börzel and Bidzina Lebanidze, ““The transformative power of Europe” beyond enlargement: the EU’s performance in promoting democracy in its neighbourhood,” *East European Politics* 33, no. 1 (2017), doi: 10.1080/21599165.2017.1280473

ტიული არჩევნების ჩატარება აქცია⁶.

დასავლეთის მხრიდან ზეწოლას აძლიერებდა გაერთიანებული ოპოზიციის არსებობა და ამომრჩეველთა შორის ენმ-ს მოწინააღმდეგეთა რაოდენობის ზრდა. ენმ-ს საპარლამენტო არჩევნებში დამარცხების აღიარებისა და ხელისუფლების ქართული ოცნებისთვის გადაბარების გარდა სხვა გზა არ ქონდა. ამდენად, ისევე როგორც ვარ-

დების რევოლუციის დროს, დასავლეთის მხრიდან ზეწოლამ ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროტესტისა და ძლიერი ოპოზიციის არსებობის ფონზე, მოახერხა ქვეყნისთვის ავტორიტარული მმართველობის უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება. ეს კი ქვეყნისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დემოკრატიული მოვლენა იყო საქართველოს დემოკრატიზაციის რთულ გზაზე.

რესთავი 2 და „სამართლიანობის აღდგენის“ პოლიტიკა

დასავლეთი „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც იყენებს პირობითობაზე დაფუძნებულ მიდგომას, თუმცა გაუმჯობესებული საარჩევნო პროცესის და შესუსტებული ოპოზიციის ფონზე, დასავლეთმა ყურადღება არჩევნების მონიტორინგიდან მასმედიის სარედაქციო დამოუკიდებლობასა და ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების პოლიტიკურ დევნაზე გადაიტანა. ზოგადად, დასავლეთის მცდელობა, დაიცვას წინა ხელისუფლების წევრები, გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებში დასავლეთის პირობითობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომლის მიზანსაც მმართველ გუნდსა და ოპოზიციას შორის დემოკრატიული თამაშის წესების შექმნა წარმოადგენს. ნაწილობრივი გარანტია იმისა, რომ ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ მოქმედი ხელისუფლების წევრები არ დაისჯებიან და რომ ახალი მთავრობა არ გამოიყენებს მის ხელთ არსებულ რესურსებს ოპოზიციის შესა-

სუსტებლად, არის ის წინაპირობა, რომელმაც პოლიტიკოსებს შორის უნდა შეცვალოს ნულოვანი ჯამის თამაშის მიდგომა და შექმნას ძალაუფლების გადაცემის სტაბილური მექანიზმი.⁷ შესაბამისად, გასაკვირი არაა, რომ საქართველოს შემთხვევაშიც, დასავლეთი ყოველთვის მხარს უჭერდა ხელისუფლებიდან გაძევებულ პოლიტიკურ ძალებს; მაგალითად, დასავლეთი ითხოვდა ედუარდ შევარდნაძის უსაფრთხოების უზრუნველყოფას 2003 წელს მისი პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ. ამგვარმა პირობითობამ პიკს 2012 წლის არჩევნების შედეგად ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მიაღწია, როდესაც დასავლეთმა ენმ-ს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების დაცვა სცადა. დასავლეთის მხრიდან ზეწოლა კიდევ უფრო მეტად გააძლიერა ენმ-ს სტრატეგიულად სწორად დაგეგმილმა პოლიტიკამ, რომლის ფარგლებშიც ყოფილი მმართველი პარტია ეფექტურად იყენებდა და იყენებს საკუთარ პოლიტიკურ

⁶ ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ორი გზავნილი. 2012 წელს პრეზიდენტ სააკაშვილის ვაშინგტონში ვიზიტისას, პრეზიდენტმა ობამამ, უპრეცედენტოდ პირდაპირი ტექსტით ღიად მოუწოდა საქართველოს პრეზიდენტს, რომ უზრუნველეყო „ძალაუფლების ფორმალური გადაცემა“ „ლა და გამჭვირვალე არჩევნების“ გზით. ამასთან, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, ევროკავშირმა საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობის ხარისხისა და ინტენსივობის წინაპირობად ქვეყნის დემოკრატიული არჩევნების ჩატარება აქცია. მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ: Liz Sherwood-Randall, “President Obama Meets with Georgian President Mikheil Saakashvili,” The White House, წვდომის თარიღი 18 ივლისი, 2016, <http://www.whitehouse.gov/blog/2012/02/03/president-obama-meets-georgian-president-mikheil-sakashvili>; Catherine Ashton and Štefan Füle, “Joint Statement by High Representative/ Vice-President Catherine Ashton and Commissioner Štefan Füle, on EU-Georgia Relations and the Upcoming Elections,” წვდომის თარიღი 20 ოქტომბერი, 2015, http://europa.eu/rapid/press-release_MEMO-12-640_en.htm?locale=en

⁷ Bidzina Lebanidze, “What makes authoritarian regimes sweat? Leverage and democratization in post-Soviet South Caucasus,” *Southeast European and Black Sea Studies* 14, no. 2 (2014), doi:10.1080/14683857.2014.905040, <http://dx.doi.org/10.1080/14683857.2014.905040>

კავშირებს დასავლეთში „ქართული ოცნების“ მთავრობაზე ზენოლის მოსახდენად.⁸ შესაბამისად, ბუნებრივია, რომ დასავლეთში არ მოსწონდათ „ქართული ოცნების“ მხრიდან ენმ-ს წარმომადგენლებისკენ მიმართული „სამართლიანობის აღდგენის“ პროცესი, რომელსაც დასავლელი უურნალისტები და პოლიტიკოსები ხშირად „პოლიტიკურ ვენდეტას“ და შერჩევით სამართალს უწოდებდნენ.⁹ მართალია, საბოლოოდ, დასავლეთმა ვერ მოახერხა „ქართული ოცნების“, „სამართლიანობის აღდგენის“ პოლიტიკის ბოლომდე შემოპრუნება, თუმცა შეძლო მისი შეზღუდვა – გამუდმებული კრიტიკით.

დასავლეთმა მეტი წარმატებით მოახერხა მედია გარემოს მონოპოლიზაციის მცდელობის შეჩერება. დასავლეთის მხრიდან უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების კრიტიკას, რომლის მიხედვითაც უნდა შეცვლილიყო მთავრობის მიმართ კრიტიკულად განწყობილი ოპოზიციური ტელევიზიის – „რუსთავი 2“-ის მფლობელების

სტრუქტურა, მოჰყვა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც ქართული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება უვადოდ შეაჩერა¹⁰. „ქართული ოცნების“ მთავრობა დაემორჩილა ამ გადაწყვეტილებას და „რუსთავი 2“ ამ ეტაპზე რჩება მთავრობისადმი კრიტიკულად განწყობილ ტელევიზიად¹¹. ზოგადად, მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნება“ ენმ-ზე მეტად ავტორიტარული არ ყოფილა, მისი პასუხი დასავლეთის მხრიდან დემოკრატიულ ზენოლაზე ხშირად უფრო რადიკალურია ვიდრე ენმ-ს რეაქცია მსგავს სიტუაციებზე მისი ხელისუფლებაში ყოფილი პერიოდში. ეს ხშირად გამხდარა სიტყვებით ომის მიზეზი დასავლელ პოლიტიკოსებსა და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს შორის, რადგან ამ უკანასკნელის წარმომადგენლებს აკლიათ დასავლეთის მხრიდან მომდინარე წნეხთან გამკლავების დიპლომატიური უნარი და არ აქვთ საკმარისი დიპლომატიური და პოლიტიკური კავშირები დასავლეთში.

დასავლეთის პირობითობის ნარუმატებები შემთხვევაში საქართველოში

საქართველოს უახლეს ისტორიაში დასავლეთმა სულ რამდენჯერმე შეიკავა თავი პოლიტიკური პირობითობის გამოყენებისგან, ავტორიტარული ტენდენციების აქარა გამოვლინების მიუხედავად. დასავლეთის თავშეკავების ყველაზე ნათელ მაგალითად შეგვიძლია ვარდების რევოლუციის შემდგომი პერიოდი მივიჩნიოთ, როდესაც დასავლეთი უპირობოდ უჭერდა მხარს ახალი მთავრობის ეკონომიკურ და ინსტიტუციურ

რეფორმებს. მმართველობის პირველივე წლებში, ენმ-მ მოახერხა ძალაუფლების კონსოლიდაცია ისეთი კონსტიტუციური ცვლილებებით, რომელმაც დაასუსტა პარლამენტი და ქვეყანა სუპერ-საპრეზიდენტო მმართველობის მიმართულებით წაიყვანა¹². კრიტიკულ მედიაზე წნეხი გაიზარდა, ხოლო კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლამ მახინჯი ფორმები მიიღო და გამჭვირვალეობისა და დემოკრატიული ანგარიშვალდებულების

⁸ ენმ განსაკუთრებული წარმატებით ახერხებდა თავის კავშირების გამოყენებას ევროპის სახალხო პარტიასთან - ევროპული პარლამენტის მემარჯვენე-ცენტრისტულ ჯგუფთან, რომელიც ხშირად პარტიის წევრებსა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს შორის ლია სიტყვიერ დაპირისპირებაში გადადიოდა.

⁹ Civil Georgia, "GD Hits Back at 'Unfounded Concerns' over Saakashvili Prosecution," წვდომის თარიღი 4 იანვარი, 2018, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=27560&search=>

¹⁰ RFE/RL, "Thousands Celebrate European Court Ruling In Favor Of Georgia's Rustavi 2 TV," წვდომის თარიღი 4 იანვარი, 2018, <https://www.rferl.org/a/georgia-rustavi-tv-echr-ruling-celebrate/28363966.html>

¹¹ Freedom House, "Nations in Transit 2018: Georgia,"

¹² Freedom House, "Nations in Transit 2005: Georgia," წვდომის თარიღი 21 იანვარი, 2018, <https://freedom-house.org/report/nations-transit/2005/georgia>

ნაცვლად, პრიორიტეტი რეფორმების ეფექტურობა გახდა. დასავლეთის უპირობო მხარდაჭერის პოლიტიკა 2008 წლის საარჩევნო ციკლის დროსაც გაგრძელდა, როდესაც ეპროკავშირმა და აშშ-მ 2008 წლის სადაც საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ნაკლოვანებები გააკრიტიკეს¹³, მაგრამ, ამავდროულად, აღიარეს არჩევნების შედეგები და მოუწოდეს „ყველა პოლიტიკურ ძალას, პატივი ეცათ არჩევნების შედეგებისთვის და ჩართულიყვნენ ინკლუზიურ პოლიტიკურ დიალოგში ქვეყნის სასიკეთოდ ფართო კონსესუსის ჩამოყალიბების მიზნით“¹⁴. ვარდების რევოლუციის შემდეგ ენმ-ს მიმართ დასავლეთის უპირობო მხარდაჭერა შეიძლება სამი ფაქტორით აიხსნას. პირველი, ვარდების რევოლუციის შემდეგ დასავლეთის მხრიდან ინტერესი მიმართული იყო ქვეყნის შენებისკენ და ამ თვალსაზრისით ენმ-მ მოულოდნელი შედეგები აჩვენა კარგი (თუმცა არა აუცილებლად დემოკრატიული) მმართველობის მიმართულებით სახელმწიფო ინსტიტუტების ფაქტობრივად ახლიდან შექმნით. მეორე, დასავლეთის მხრიდან დემოკრატიის მხარდაჭერის სტრატეგია ხშირად დგება დემოკრატიზაცია-სტაბილურობის დილემის წინაშე, რაც იმას ნიშნავს, რომ გაურკვეველმა დემოკრატიულმა ნაბიჯებმა შესაძლოა გამოიწვიოს დესტაბილიზაცია მოკლე ან საშუალო ვადიან პერიოდში¹⁵. საქართველოს მაშინდელ კონტექსტში ეს ნიშნავდა იმას, რომ ნებისმიერ

ფასად ოპოზიციის მხარდაჭერას შესაძლოა ხელი შეეშალა ენმ-ს სახელმწიფოს შენების რეფორმების დღის წესრიგისთვის¹⁶. მესამე, და ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო თვით ოპოზიცია. ამ პოლიტიკის ნარკვევის ავტორი თავად იყო მოწმე იმ წარუმატებლობისა, რაც მოჰყვა სტრატეგიული დიალოგის ფორმატის შექმნის მცდელობას ოპოზიციურ პარტიებსა და ევროპელ პოლიტიკოსებს შორის 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე. რამდენიმე პოლიტიკოსის გამოკლებით, ოპოზიციას აკლდა კომუნიკაციისთვის საჭირო უნარები და იყენებდა ისეთ რადიკალურ ლექსიკას, რაც მიუღებელი იყო იმ ევროპელი პოლიტიკოსებისთვის, რომლებიც მშვიდობიან პოლიტიკურ გამოსავალს ეძებდნენ. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ დასავლეთის პოლიტიკურმა საზოგადოებამ 2008 წლის ოპოზიცია აღიქვა, როგორც რადიკალური, რეფორმების მონინაალმდეგე პოლიტიკური ძალა, რომელიც არ იყო საკმარისად განვითარებული სახელმწიფოს მართვის სადავეების გადასაბარებლად და არც ის არის გასაკვირი, რომ ოპოზიციამ ვერ მიიღო დასავლეთის მხარდაჭერა გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე საარჩევნო წელს.

შეჯამებისთვის, შეიძლება ითქვას, რომ ენმ-ს რეფორმებმა და ოპოზიციის სისუსტემ მაშინდელ მთავრობას მმართველობის პირველ წლებში დასავლეთის მხრიდან

¹³ Bidzina Lebanidze, "What makes authoritarian regimes sweat? Linkage, leverage and democratization in post-Soviet South Caucasus," *Southeast European and Black Sea Studies* 14, no. 2 (2014), doi:10.1080/14683857.2014.905040, <http://dx.doi.org/10.1080/14683857.2014.905040>

¹⁴ Delegation of the European Union to Georgia, "EU Presidency Statement on the Parliamentary Elections in Georgia, held on 21 May 2008 (21/05/2008)," წვდომის თარიღი 26 მარტი, 2013, http://eeas.europa.eu/delegations/georgia/press_corner/all_news/news/2008/20080522_01_en.htm

¹⁵ Annette Jünemann, ed., *Euro-Mediterranean relations after September 11: International, regional, and domestic dynamics* (London: Frank Cass, 2004), <http://site.ebrary.com/lib/alltitles/docDetail.action?docID=10093984>

¹⁶ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სტაბილურობა-დემოკრატიზაციის დილემა არ არის მხოლოდ დასავლური პირობითობის ერთადერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, არამედ თვით გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებშიც დიდ გავლენას ახდენს პოლიტიკური დისკურსის ჩამოყალიბებაზე. ქართულ საზოგადოებაშიც მრავალი წლის მანძილზე აქტუალური იყო სტაბილიზაცია-დემოკრატიზაციის კონფლიქტური დისკურსი. ედუარდ შევარდნაძე ხშირად იყენებდა „პირველ რიგში სტაბილურობა“ დისკურსს იმისათვის, რომ გაემართლებინა რეფორმების არარსებობა და მოეხდინა ოპოზიციის დემონიზება. ენმ-ც ხშირად ნარმოაჩენდა ოპოზიციას რუსეთის მეხუთე კოლონად, რომელიც მიზნად ქვეყნის დესტაბილიზაციას ისახავდა.

წნები აარიდა. ენმ-ს ცხრაწლიანი მმართველობა არის იმის დასტური, რომ დასავლეთი ყოველთვის არ იყენებს პოლიტიკურ პირობითობას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ეს საფრთხეს უქმნის რეფორმების განხორციელებას ან თუ არსებობს რადიკალური ოპოზიციის ხელისუფლებაში მოსვლის რისკი. მეორე მხრივ, ისე, როგორც ენმ-ს შემთხვევაში, არც პროდასავლური მთავრობის იმიჯი და ეფექტური რეფორმების განხორციელებაა დასავლეთის მუდმივი მხარდაჭერის გარანტი. ადრე თუ გვიან, დასავლეთი აიძულებს მის მეგობარ მთავრობას, გახდეს უფრო დემოკრატიული, ისე, როგორც ეს 2012 წელს ენმ-ს შემთხვევაში მოხდა. ამრიგად, ენმ-ს მაგალითი მიანიშნებს დემოკრატიული პირობითობის კომპლექსურ ხასიათზე, რომელიც ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნებით

სუსტდება. ხშირად, შეუძლებელია ერთდროულად ეფექტური და დემოკრატიული მთავრობის მხარდაჭერა. ამასთან, ისეთი რადიკალური ოპოზიციის არსებობა, როგორიც 2008 წლის ეროვნული საბჭო იყო და რომელმაც რადიკალური გამოსავალის ძიებით შესაძლოა საფრთხის წინაშე დააყენოს ოპოზიციისა და ხელისუფლების მშვიდობიან თანაცხოვრობას, პირობითობის პრინციპის თანმიმდევრულად გამოყენების კიდევ ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია¹⁷. დაბოლოს, დასავლეთი დიდი ალბათობით მაშინ იყენებს ყველაზე მეტად პოლიტიკური პირობითობის პრინციპს, როდესაც საზოგადოებაში პოლიტიკური ცვლილების მოთხოვნა არსებობს და როდესაც მმართველი გუნდი კარგავს საზოგადოების მხრიდან ლეგიტიმაციას ისე, როგორც ეს 2012 წელს მოხდა.

შეჯამება

საბოლოოდ, საქართველოს გამოცდილებით, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ დასავლეთის მხრიდან პირობითობის გამოყენების ინტენსივობა დამოკიდებულია სამფაქტორზე: დასავლეთის მიმართევეყნის დამოკიდებულებაზე; დემოკრატიის ხარისხ-სა და პოლიტიკური სისტემის ეფექტურობაზე; და ცვლილებისადმი საზოგადოების მზადყოფნასა და ოპოზიციური პარტიების სტრატეგიებზე (იხილეთ ცხრილი 1). საქართველოს შემთხვევაში, ბოლო წლებში პირველი ფაქტორი უცვლელად მაღალი იყო, ამიტომ დასავლეთის პირობითობის ინტენსივობა იცვლებოდა საზოგადოებრივი მიდგომის, ოპოზიციის ტაქტიკისა და მთავრობის მხრიდან დემოკრატიული და კარგი მმართველობის რეფორმებთან გამკლავების შესაბამისად. იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც დასავლეთს შეეძლო, მაგრამ არ გამოიყენა დემოკრატიზაციის წნები საქა-

რთველოს მთავრობაზე. თუმცა, როდესაც პირობითობა იქნა გამოყენებული, ის უმეტეს შემთხვევებში წარმატებული იყო. ძველი და მოქმედი მთავრობები აცნობიერებდნენ დასავლეთისადმი მათ დამოკიდებულებას, რაც არ აძლევდათ მათ საშუალებას წინააღმდეგობა გაეწიათ დასავლეთის მხრიდან ზენოლისთვის. ორივე პარტიის, ენმ-ს და „ქართული ოცნებას“, მუდმივად უწევდა რთული ბალანსის დაცვა დემოკრატიზაციის ფართო მიზანსა და ძალაუფლების შენარჩუნების ვიწრო პარტიულ მიზანს შორის, თუმცა ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც დასავლეთმა წითელი ხაზები გაავლო, ორივე პარტია შეზღუდვებს დაემორჩილა: ენმ-მ წააგო გადამწყვეტი არჩევნები, ქართულმა ოცნებამ კი ხელი აიღო მიზანზე, გაეკონტროლებინა „რუსთავი 2“ და შეზღუდა სამართლიანობის აღდგენის პოლიტიკა.

¹⁷ აღსანიშნავია, რომ დასავლეთმა ვერ მოახერხა მთლიანად აერიდებინა თავიდან 2012 წლის არჩევნების შემდეგ ქართული ოცნების რადიკალური პოლიტიკა.

ცხრილი 1: იმ პოლიტიკური მოვლენების ჩამონათვალი, როდესაც მმართველი გუნდის მიერ დემოკრატიული ნორმის დარღვევამ პოლიტიკური პირობითობის გამოყენების წინაპირობა შექმნა.

მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები	მმართველი გუნდის სასურველი პოლიტიკური დღის წესრიგი	დასავლეთის პირობითობა/ დემოკრატიული წესრიგი	პირობითობის გამოყენების/არგამოყენების მიზეზები	პირობითობის ინსტრუმენტები
2003 წლის არჩევნები, კორუფცია, ცუდი მმართველობა	საჭიროების შემთხვევაში არჩევნების გაყალბება ძალაუფლების შესანარჩუნებლად	წარმატებული	არშემდგარი სახელმწიფო, არაეფექტური და არადემოკრატიული მმართველობა	ფინანსური დახმარების შეჩერება, არჩევნების ლეგიტიმურობის საკითხის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება
2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები	საჭიროების შემთხვევაში არჩევნების გაყალბება ძალაუფლების შესანარჩუნებლად	ძირითადად გამოყენებული	ყურადღების გამახვილება სახელმწიფოს შენების რეფორმებზე, რადიკალური ოპოზიციის არსებობა	პოლიტიკური დიალოგი
2012 წლის საპარლამენტო არჩევნები	საჭიროების შემთხვევაში არჩევნების გაყალბება ძალაუფლების შესანარჩუნებლად	წარმატებული	საქართველოში „პუტინის მოდელის“ განმეორების არ დაშვება; ენმ-ს მიმართ საზოგადოების გაუცხოება	პოლიტიკური დიალოგი, დარწმუნება, არაპირდაპირი პოლიტიკური ზენოლა
„სამართლიანობის აღდგენის“ პოლიტიკა	წინა ხელისუფლების თანამდებობის პირების დაკავება	მეტნაკლებად წარმატებული	ქვეყნის ავტოკრატიული მართვის საფრთხის თავიდან აცილება; ენმ-ს კავშირები დასავლეთთან	პოლიტიკური და დიპლომატიური ზენოლა
„რუსთავი 2“	მთავრობის მიმართ კრიტიკულად განწყობილი ერთადერთი ტელევიზიონური კონტროლი	წარმატებული	ქვეყნის ავტოკრატიული მართვის საფრთხის თავიდან აცილება	პოლიტიკური და დიპლომატიური ზენოლა; ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო

საქართველოს მაგალითზე, ოპოზიციური პარტიების, მმართველი პარტიებისა, და დასავლეთისთვის პოლიტიკური პირობითობის გამოყენების შემთხვევებიდან სამი გაკვეთილის სწავლა შეიძლება.

პირველი, მმართველი გუნდის არადემოკრატიული მართვის ფორმა დასავლეთის მხრიდან პოლიტიკური პირობითობის გამოყენების მთავარი საფუძველია, თუმცა დასავლეთი არ არის ყოველთვის თანმიმდევრული და მომთხოვნი. შესაბამისად, მმართველ პარტიებს შეუძლიათ თავი აარიდონ დასავლეთის წესებს დემოკრატიული მმართველობის ნორმების ზოგადი დაცვით, მაშინაც კი, თუ ისინი დროგამოშვებით მცირე გადაცდომებს დაუშვებენ. მეორე, ოპოზიციის პოზიტიური იმიჯი დასავლეთის მხრიდან მმართველ გუნდზე ზეგავლენის მოხდენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. 2007-2009 წლების

შეცდომის თავიდან აცილებისთვის, ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ არა მხოლოდ ამომრჩეველზე, არამედ იზრუნონ დასავლელ პარტინიორებთან კარგი ურთიერთობების დამყარებაზე.

მესამე, დასავლეთის პოლიტიკური პირობითობა ამ დრომდე საკმაოდ წარმატებით განხორციელდა, თუმცა ეს წარმატება მომავალში გარანტირებული არაა. მეტი წარმატების მისაღწევად, დასავლეთს სჭირდება მისი ზენოლის არეალის გაზრდა და ახალი წამახალისებელი ფაქტორების შექმნა პირობითობაზე დაფუძნებული პოლიტიკის გასატარებლად. ამასთან, სასურველი იქნება ოპოზიციურ პარტიებზე ზენოლის მოხდენა დემოკრატიული წესებით თამაშის წასახალისებლად და საკუთარი ეგოისტური ბუნების დასაძლევად სამომავლოდ არჩევნებში გაერთიანების მიზნით.

რეკომენდაციები:

საქართველოში პოლიტიკური პირობითობის გამოყენების წარსული გამოცდილება საშუალებას იძლევა შემუშავდეს რეკომენდაციები დასავლეთისთვის, თუ როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს პირობითობის პრინციპის გამოყენება, ისევე, როგორც

მმართველი და ოპოზიციური პარტიებისთვის, თუ როგორ შეიძლება დასავლეთიდან მომდინარე დემოკრატიულ წესზე ეფექტური რეაგირება. უფრო კონკრეტულად კი რეკომენდაციები მოიცავს შემდეგს:

მმართველი პარტიებისთვის

- არ გადაკვეთონ წითელი ხაზები დემოკრატიისა და კარგი მმართველობის მიმართულებით.
- ჰქონდეთ მუდმივი პოლიტიკური დიალოგი ოპოზიციურ პარტიებთან.
- ჰქონდეთ ახლო ურთიერთობები დასავლელ პოლიტიკოსებთან, მთავ-
- რობებთან, უურნალისტებთან და პოლიტიკის სფეროთი დაკავებულ სხვადასხვა ჯგუფებთან.
- მნიშვნელოვანი რეფორმების გატარებისას, უფრო მეტად გაამახვილონ ყურადღება გამჭვირვალეობისა და დემოკრატიულ პრინციპებზე

ოპოზიციური პარტიებისთვის

- დაამყარონ ახლო ურთიერთობები დასავლელ პოლიტიკოსებთან, მთავრობებთან, ჟურნალისტებთან და პოლიტიკის სფეროთი დაკავებულ სხვადასხვა ჯგუფებთან.
- შექმნან ისეთი პოლიტიკური პროგრამები, რომლებიც არა მხოლოდ მთავრობის სისუსტეებს წარმოაჩენს,
- არამედ ასახავს რეალურ ალტერნატივებს.
- გამორიცხონ არაკონსტიტუციური გზით ხელისუფლების ცვლილება.
- პოლიტიკური საქმიანობისას დაიცვან ფუნდამენტური ლიბერალურ-დემოკრატიული სტანდარტები.

ევროკავშირისა და აშშ-სთვის

- მეტად გააცნობიერონ საქართველოს ხელისუფლების მოწყვლადობა დასავლეთის მხრიდან განხორციელებული ზენოლის მიმართ.
- მოახდინონ პირობითობის პრინციპის თემატური არეალის მეტი დივერსიფიცირება.
- გამოიყენონ პირობითობის პრინციპი არა მხოლოდ მმართველ გუნდთან, არამედ ოპოზიციურ პარტიებთან ურთიერთობისასაც.
- შეიმუშაონ ახალი შეთავაზებები პირობითობის პრინციპის მნიშვნელობის განგრძობადობისთვის.

პრეზიდენტი სამაზოგლო: როგორ
უდა გამაპლავდეს საქართველო
აპტორითა ული რეჟისორიდან
მომდინარე ზეცოლას

ჯოსეფ ლალსენი¹

მოკლე შინაარსი

საქართველო დემოკრატიული განვითარებისა და ევროკავშირთან ინტეგრაციის თვალსაზრისით გზაგასაყარზე იმყოფება. მიუხედავად იმისა, რომ პოსტ-საბჭოთა სივრცეში იგი დემოკრატიზაციის მაგალითია, 2016 წელს, მმართველი პარტიის – „ქართული ოცნების“ მიერ მოპოვებული კონსტიტუციური უმრავლესობის შემდეგ, დემოკრატიული ინსტიტუტების კონსოლიდაციის პროგრესი შენელდა. სუსტი საპარლამენტო ოპოზიციისა და ინსტიტუციური კონტროლის მყიფე სისტემაში ფუნქციონირებამ „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობას ისეთი ქმედებების განხორციელების შესაძლებლობა მისცა, რომლებიც დემოკრატიის კონსოლიდაციის გაღმავებაზე მის მიერ აღებულ ვალდებულებას ეჭვქვეშ აყენებენ. ვითარებას ისიც აუარესებს, რომ საქართველო მისი მეზობელი ორი ავტორიტარული სახელმწიფოსგან – აზერბაიჯანისა და თურქეთისგან – ზეწო-

ლას განიცდის, რომ ადამიანის უფლებების დაცვის საყოველთაოდ აღიარებული ვალდებულებები უგულებელყოს. ეს ყველაფერი კი მაშინ ხდება, როცა საქართველო ევროკავშირთან დაახლოების პროცესში, ევროპული პერსპექტივის მოპოვებას ცდილობს. შეუძლია თუ არა საქართველოს მის ავტორიტარულ, თუმცა ეკონომიკურად ძლიერ მეზობლებთან – კერძოდ, აზერბაიჯანსა და თურქეთთან – ფუნქციური ინტეგრაცია გააგრძელოს, ევროკავშირის დაახლოების მისწრაფების რისკის ქვეშ დაყენების გარეშე? როგორ უნდა მიაღწიოს საქართველოს მთავრობამ ამ მხრივ ადეკვატურ ბალანსი? წინამდებარე დოკუმენტი შეეცდება ზემოაღნიშნულ კითხვებს უპასუხოს და წარმოდგინოს კონკრეტული პოლიტიკური რეკომენდაციები რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის შენარჩუნებისთვის, დემოკრატიზაციისა და ევროკავშირთან პოლიტიკური ინტეგრაციის გაგრძელებისთვის.

შესავალი

დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით, საქართველო კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება. 2012 წელს, დემოკრატიული და მშვიდობიანი გზით ხელისუფლების ცვლილება პირველად მოხდა ქვეყანაში, როდესაც კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (ენმ) საპარლამენტო არჩევნებში დაამარცხა. 2012-2016 წლებში ჩანდა, რომ ქვეყნის დემოკრატიული ინსტიტუტები ძლიერდებოდა, ნაწილობრივ იმიტომ, რომ მმართველ და ოპოზიციურ პარტიებს შორის შედარებითი ბალანსი არსებობდა. თუმცა, 2016 წლის ბოლოდან, მას შემდეგ, რაც „ქართულმა ოცნებამ“

კონსტიტუციური უმრავლესობა მოიპოვა, რიგი მოვლენების განვითარებამ, მმართველი პარტიის დემოკრატიზაციის პროცესის გაგრძელების ვალდებულება ეჭვქვეშ დააყენა. 2017 წელს, „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობამ, ოპოზიციის მხარდაჭერის გარეშე და არასამთავრობო ორგანიზაციების (NGO) პროტესტის მიუხედავად, ახალი კონსტიტუცია დაამტკიცა. კონსტიტუციის ახალი პროექტით, უქმდება პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევა და 2023 წელს, მის ნაცვლად პრეზიდენტს საარჩევნო კოლეგია აირჩევს. 2024 წელს კი აიკრძალება საარჩევნო ბლოკების შექმნა.²

¹ ჯოსეფ ლარსენი არის საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის ასოცირებული ანალიტიკოსი და კავკასიის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი. იგი ასევე ფლობს მაგისტრის ხარისხს საერთაშორისო ურთიერთობებში, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტიდან.

ამასთან, ქვეყანაში შესუსტდა მედია პლუ-რალიზმი, ხოლო „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური“ საზოგადოების მიმართ ან-გარიშვალდებული აღარ არის.³

დემოკრატიული სტაგნაცია რეგიონში არახელსაყრელი გარემოს ფონზე მიმდინარეობს.⁴ საქართველოს მეზობელ ქვეყნებს შორის არიან: ღიად ავტორიტარული რე-ჟიმები (აზერბაიჯანი და რუსეთი), უნინ დემოკრატიისკენ მიდრეკილი და ახლა ავტორიტარიზმი გადასული (თურქეთი) და ნახევრად ავტორიტარული, მუდმივად ერთი პარტიის მიერ დომინირებული ქვეყანა (სომხეთი). აღსანიშნავია, რომ ლევიცკი და ვეი ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობას დემოკრატიული განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად განსაზღვრავენ და აღნიშნავენ, რომ „საქართველო მაღალი ბერკეტების და დაბალი კავშირების ქეისია. პატარა, სუსტი და რეგიონით იზოლირებული სახელმწიფო – საქართველო დასავლეთზე მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული... კავშირების თვალსაზრისით კი, საქართველოს სუსტი ეკონომიკური, პოლიტიკური, ტექნოკრატიული და საკომუნიკაციო კავშირები ჰქონდა დასავლეთთან.“⁵ ევროკავშირთან გეოგრაფიული სიახლოვის ნაკლებობა საქართველოზე ევროპის გავლენას ასუსტებს და მეზობლებისგან მომდინარე ზენოლის მიმართ მოწყვლადს ხდის.

რადგან საქართველო დემოკრატიული ინ-სტიტუტების გაძლიერებასა და უახლოეს

მომავალში ევროკავშირთან უფრო მეტ დაახლოებაზე მუშაობს, იგი მისი უშუალო მეზობლებისგან დახმარებას ნაკლებად უნდა ელოდოს. ფაქტობრივად, შესაძლებელია, რომ აღნიშნულმა ქვეყნებმა მისი განვითარებისთვის ძირის გამოთხრაც კი სცადონ, რადგან დემოკრატიული საქართველოს არსებობა – ძლიერი სამოქალაქო საზოგადოებითა და ადამიანის უფლებების მყარი გარანტიების უზრუნველყოფით, რეგიონული ავტორიტარული ლიდერების ინტერესებში არ შედის. წინამდებარე პოლიტიკის დოკუ-მენტი, აზერბაიჯანსა და თურქეთთან საქართველოს ორმხრივ ურთიერთობებზე ამახვილებს ყურადღებას, ეს ის ორი ქვეყანაა, რომლებთანაც საქართველოს ყველაზე ღრმა და მნიშვნელოვანი სტრატეგიული კავშირები აქვს და რომლებიც მის მიერ ადამიანის უფლებების ნორმების დაცვასა და ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას უქმნიან საფრთხეს. წინამდებარე პოლიტიკის დოკუ-მენტი პასუხობს კითხვებს: შეუძლია თუ არა საქართველოს, აზერბაიჯანსა და თურქეთთან ფუნქციური ინტეგრაციის გაგრძელება, ევროკავშირის წევრობის მისწრაფების რისკის ქვეშ დაყენების გარეშე? როგორ უნდა მიაღწიოს საქართველოს მთავრობამ ამ მხრივ ადეკვატურ ბალანსს? წინამდებარე დოკუმენტი შეეცდება ზემოაღნიშნულ კითხვებს უპასუხოს და წარმოადგინოს კონკრეტული პოლიტიკური რეკომენდაციები რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის შენარჩუნებისთვის, დემოკრატიზაციისა და ევროკავშირთან პოლიტიკური ინტეგრაციის გაგრძელებისთვის.

² 2018 წლის 23 მარტს, ქართული ოცნების უმრავლესობაში დაამტკიცა 2017 წლის კონსტიტუციის ცვლილებები, რომლებიც მოიცავდა ბონუსების სისტემის გაუქმებას. ბონუსების გადანაწილების სისტემა, გადაუნაწილებელ საპარლამენტო მანდატებს იმ პარტიას აკუთვნებდა, რომელიც არჩევნებში ხმების უმრავლესობას მოიპოვებდა. ბონუსების სისტემა, ახალი კონსტიტუციის ყველაზე საკამათო დებულება იყო. საარჩევნო ბლოკების შექმნა, კიდევ ერთი საკამათო საკითხის დამტკიცება 2024-წლამდე გადაიდო. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: Civil Georgia, 24 March 2018, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=30976>

³ "Georgia", Human Rights Watch, <https://www.hrw.org/world-report/2018/country-chapters/georgia>.

⁴ "Freedom in the World 2018: Democracy in Crisis", Freedom House, http://civil.ge/files/files/2018/FH_FITW_Report_2018_Final_SinglePage.pdf.

⁵ Levitsky, S. & Way, L. (2010) Competitive Authoritarianism: Hybrid Regimes after the Cold War, Cambridge: Cambridge University Press.

პროტლეგური სამეზოპლო

2017 წელს განვითარებულმა ორმა სკანდალურმა მოვლენამ ეჭვქვეშ დააყენა საქართველოს მთავრობის უნარი წინ აღუდგეს აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან მომავალ პოლიტიკურ წნევს. პირველი შემთხვევა მუსტაფა ემრე ჩაბუქის, თურქი მასწავლებლის საქმეს უკავშირდება, რომელიც პოლიციამ 24 მაისს დააკავა.⁶ დაკავება, როგორც ამტკიცებენ, თურქეთის პრემიერ მინისტრ – ბინალი ილდიმირის ბრძანებას მოჰყვა. რამდენიმე დღეში ჩაბუქს აშშში მოღვაწე სასულიერო პირთან, ფეთქულა გიულენთან კავშირში დასდეს ბრალი. ივლისში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ ჩაბუქისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარი განაცხადა. „ამნესტი ინტერნეიშენალის“ ანგარიშის მიხედვით, ექსტრადიციის შემთხვევაში, ჩაბუქს თურქეთის ხელისუფლების მხრიდან წამებისა და ადამიანის უფლებების სხვა დარღვევების საფრთხე ემუქრებოდა.⁷ ადამიანის უფლებათა დამცველ ჯგუფებთან ერთად, როგორიცაა „ამნესტი ინტერნეიშენალი“, „საერთაშორისო გამჭირვალობა“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია⁸“, ევროპარლამენტარი რეპეკა ჰარმსიც მოუწოდებდა საქართველოს ხელისუფლებას – არ მოეხდინათ ჩაბუქის ექსტრადიცია.⁹

სიტუაცია ჯერ ისევ არასტაბილურია. 19 თებერვალს, თბილისის საქალაქო სა-

სამართლოს გადაწყვეტილებით, ჩაბუქის საექსტრადიციო პატიმრობიდან გათავისუფლდა.¹⁰ ჩაბუქს კვლავ სისხლის სამართლის ბრალდება აქვს წაყენებული და მისი სტატუსი არ გაირკვევა, სანამ თბილისის საქალაქო სასამართლო საბოლოო გადაწყვეტილებას არ მიიღებს. ამასთან, ექსტრადიციის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ უნდა მიიღოს. ჩაბუქს ედება ბრალი, რომ ის თბილისის „დემირელის კოლეჯის“ წილის ამერიკულ კომპანიაზე გასხვისებაში მონაწილეობდა, კომპანიაზე, რომელიც თავის მხრივ გიულენის მოძრაობასთან არის დაკავშირებული. სავარაუდოდ, დანაშაული საქართველოს ტერიტორიაზე მოხდა და მასში თურქეთის მხარე არ იყო ჩართული, რაც იმას ნიშნავს, რომ ექსტრადიციაზე უარის თქმის მყარი საფუძველი არსებობს. ასევე, აღსანიშნავია, რომ თურქეთის მთავრობამ სხვა ქვეყნებიდანაც მოითხოვა რამდენიმე ადამიანის ექსტრადიცია და ბევრ შემთხვევაში მათი მოთხოვნა სათანადო საფუძვლის არარსებობის გამო იქნა უარყოფილი. ჩაბუქის საქმე, ამ მხრივ, გამონაკლისს არ წარმოადგენს. რეპეკა ჰარმსმა კვლავ მოუწოდა ქართულ მხარეს, რომ არ მოეხდინათ ჩაბუქის ექსტრადიცია:

„თურქეთში ექსტრადიციის შემთხვევაში, ვფიქრობ, მას დაუყოვნებლივ დააპატიმრებენ და ის მოკლებული იქნება სამართლიან სასამართლო პროცესს. ადამიანები, რომლებიც თურქეთში გიულენის მომხრეებად

⁶ “Turkish Citizen Sent to Pre-Extradition Detention Over Alleged Links to Terrorist Organization”, Civil Georgia, 25 maisi 2017, <http://civil.ge/eng/article.php?id=30129>.

⁷ “Georgia: Teacher at Risk if Extradited to Turkey: Mustafa Çabuk”, Amnesty International, 26 maisi 2017, <https://www.amnesty.org/en/documents/eur56/6372/2017/en/>.

⁸ “Decision of the Ministry of Refugees in Cabuk’s case is illegal, unfounded and politically motivated”, International Society for Fair Elections and Democracy, 10 ივნისი 2017, <http://www.isfed.ge/main/1251/eng/>.

⁹ “The Government of Georgia should not return him to Turkey – European Parliament member speaks about extradition of Mustafa Emre Chabuk”, Rustavi2, 16 ივნისი 2017, <http://rustavi2.ge/en/news/80431>.

¹⁰ “Tbilisi City Court Releases Turkish Citizen on Bail”, Civil Georgia, 19 February 2018, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=30882>.

განიხილებიან მოკლებულნი არიან სამართლიანი სასამართლოს უფლებას. ჩაბუქის ექსტრადიციის შემთხვევაში, დაირღვევა კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები... დემოკრატიზაციის პროცესში მყოფმა საქართველომ, არ უნდა შელახოს მისი რეპუტაცია ჩაბუქის თურქეთში ექსტრადიციით.¹¹

მეტიც, ჩაბუქის დაპატიმრება განცალკევებული შემთხვევა არ არის. უფრო მეტად, ის თურქეთზე საქართველოს მზარდი პოლიტიკური დამოკიდებულების ერთ-ერთი ნიშანია.¹² მაგალითად, თურქეთის ხელისუფლების მოთხოვნის შედეგად, საქართველოს მთავრობამ რამდენიმე თურქული სკოლა დახურა.¹³ სკოლების დახურვის საკითხი, მაგალითად შაჰინის სახელობის მეგობრობის სკოლა ბათუმში, რომლის დახურვის მიზეზადაც მოსწავლეების ჩარიცხვის რეგულაციებთან დაკავშირებული „სერიოზული დარღვევები“ დასახელდა-პროცედურული და ტექნიკური საკითხების საფუძველზე იქნა დასაბუთებული. თუმცა, აღნიშნული სკოლები, დახურვამდე, თურქეთის მთავრობამ გიულენის მოძრაობასთან კავშირში დაადანაშაულა, რაც ასაზრდოებს მოსაზრებას, რომ საქართველოს განათლების სამინისტრო თურქეთის ხელისუფლების მოთხოვნის შესაბამისად მოქმედებს.

ეს ყოველივე, საქართველოს რთულ მდგომარეობაში აყენებს. თურქეთი საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი და ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი წყაროა; ასევე, ისტორიულად, თურქეთი NATO-ში საქართველოს ინტერესების მხარდამჭერი იყო.¹⁴ შესაბამისად, ორმხრივ ურთიერთობებში თურქეთი საქართველოს მიმართ არათანაზომიერ ბერკეტებს ფლობს. თუმცა, ჩაბუქის ექსტრადიციებით, რასაც ადამიანის უფლებათა დამცველი საზოგადოებებისა და ზოგიერთი ევროპელი პოლიტიკოსის პროტესტი მოჰყვება, საქართველო დააზიანებს მის მიერ მოპოვებულ რეპუტაციას, როგორც ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით რეგიონის მოწინავე სახელმწიფოსას. იმის გათვალისწინებით, რომ ბრიუსელში ნაკლებად აქვთ სურვილი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, დამატებით ახალი შეთავაზება გაუკეთონ, საქართველოს მთავრობას ეკისრება პასუხისმგებლობა დაამტკიცოს, თუ რატომ იმსახურებს იგი ევროკავშირთან უფრო ღრმა ინტეგრაციას.¹⁵ თავის მხრივ ბრიუსელი წევრობის პერსპექტივის მიცემისგან თავშეკავებისთვის მიზეზებს ეძებს – ამიტომ, საქართველოს მთავრობამ მათ გასამართლებელი საბუთი არ უნდა მისცეს.

¹¹ “German MEP says Georgia should not extradite Çabuk”, OC Media, 15 February 2018, <http://oc-media.org/german-mep-says-georgia-should-not-extradite-cabuk/>.

¹² დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: Mikhelidze, N., “Turkey’s Policy in the Black Sea Region: Oscillating Between Pragmatism and Opportunism” in Toperich, S. & Ünver Noi, A. (eds) (2017) Turkey & Transatlantic Relations, Washington D.C.: Center for Transatlantic Relations, <http://transatlanticrelations.org/publication/turkey-transatlantic-relations/>.

¹³ Owen, E. (2017) “Georgia: Gülen School Loses Licens”, EurasiaNet.org, 6 თებერვალი <https://eurasianet.org/node/82261>.

¹⁴ საქართველო-თურქეთის ურთიერთობების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: Cecire, M. (2013) “Georgia-Turkey Relations in a Georgian Dream Era”, Caucasus Analytical Digest, Vol. 48, <http://www.css.ethz.ch/content/dam/ethz/special-interest/gess/cis/center-for-securities-studies/pdfs/CAD-48.pdf>.

¹⁵ Lebanidze, B. (2017) “Life Without EU Membership: The Case for a Multi-Speed EaP”, Georgian Institute of Politics, 18 დეკემბერი, <http://gip.ge/life-without-eu-membership-case-multi-speed-eap/>.

მუხტარლის გატაცება

მეორე და კიდევ უფრო მეტად პრობლემური სკანდალი, რომელიც 29 მაისს აფეთქებულის, საქართველოში 2015 წლიდან მცხოვრები აზერბაიჯანელი დისიდენტი უურნალისტის გაუჩინარებას უკავშირდება. მუხტარლის გაუჩინარების შესახებ, განცხადება მისმა მეუღლემ, ლეილა მუსტაფაევამ გაავრცელა.¹⁶ ორი დღეს შემდეგ დადასტურდა, რომ იგი ბაქოში წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფებოდა. მუხტარლის ადვოკატის, ელჩინ სადიგოვის თანახმად, უურნალისტი თბილისიდან, მისივე სახლის მიმდებარეტერიტორიიდან, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა გაიტაცეს.¹⁷ სადიგოვის განცხადებით, გამტაცებლებმა თავზე ტომარაჩამოცმული მუხტარლი აზერბაიჯანის საზღვრზე გადაიყვანეს, პასპორტის არქონის მიუხედავად.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, 31 მაისს ოფიციალური გამოძიება დაიწყო. 9 ივნისს, ინფორმაციის საჯაროდ გავრცელების გარეშე, „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა“ გატაცებაში რაიმე ფორმით მონაწილეობა კატეგორიულად უარყო.¹⁸ აღნიშნულმა ინციდენტმა, ევროკავშირში საქართველოს რეპუტაციას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა.

15 ივნისს, ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, სადაც ის საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს – „სწრაფი, სა-

ფუძლიანი, გამჭირვალე და ეფექტური გამოძიების ჩატარება უზრუნველყოს, აფგან მუხტარლის საქართველოში ძალადობრივი გაუჩინარებისა და აზერბაიჯანში მისი არალეგალური გადაყვანის საქმეზე.“¹⁹ ასევე, რეზოლუცია მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას „დამნაშავები პასუხისგებაში მისცეს“ და შეახსნებს მის მიერ აღებულ ვალდებულებაზე – „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის“ (ECHR) შესაბამისად, დაიცვას პოლიტიკური თავშესაფრის მთხოვნელი პირები. აღნიშნულმა ინციდენტმა სერიოზულად დააზიანა საქართველოს რეპუტაცია აზერბაიჯანელ დისიდენტებშიც, რომლებიც მას თავშესაფრისთვის შედარებით უსაფრთხო ქვეყნად მიიჩნევდნენ. მუხტარლის მეუღლემ, მუსტაფაევამ, საქართველოს მთავრობა მის დაცვაზე უარის თქმასა და გამოძიების განზრახ გადადებაში დაადანაშაულა.²⁰

მთავრობის მიმართ იმედგაცრუება საზოგადოებამაც გამოხატა. 2017 წლის ივნისში, „ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტისა“ (NDI) და „კავკასიის კვლევითი რესურს ცენტრის“ (CRRC) მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, გამოკითხული ქართველების 82%-ი, რომელთაც გატაცების შესახებ სმენოდათ, ფიქრობს, რომ მომხდარზე პასუხისმგებლობა მთავრობამ უნდა აიღოს, რადგან მას ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულება აკისრია.²¹ გამოკ-

¹⁶ “Azerbaijani Journalist Alleges Georgian Security Complicit in his Abduction”, Civil Georgia, 31 მაისი 2017, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=30141>.

¹⁷ იქვე.

¹⁸ “Statement of the Security Service of Georgia”, State Security Service of Georgia, 9 ივნისი 2017, <http://ssg.gov.ge/en/news/248/saxelmtsifo-usafrtxoebis-samsaxuris-gancxadeba>.

¹⁹ “European Parliament Adopts Resolution on Mukhtarli Case”, Civil Georgia, 15 ივნისი 2017, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=30196>.

²⁰ Mustafayeva, L. (2017) “Afgan Mukhtarli: after the abduction”, Open Democracy, 13 ოქტომბერი, <https://www.opendemocracy.net/od-russia/leyla-mustafayeva/afgan-mukhtarli-after-abduction>.

²¹ “Public Attitudes in Georgia, June 2017”, Caucasus Research Resource Center, <http://caucasusbarometer.org/en/nj2017ge/AZJRPHR/>. ამავე გამოკითხვის მიხედვით, მოსახლეობის 72%-ი მომხდარის შესახებ ინფორმაციას ფლობდა, რაც იმას მიუთითებს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, საქართველოს მთავრობამ პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე უნდა აიღოს.

ითხულთა 56%-ის აზრით, აფგან მუხტარლის საქმე დააზიანებს საქართველოს, როგორც ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით რეგიონის ლიდერი ქვეყნის რეპუტაციას.²² გამოკითხულთა მხოლოდ 14%-მა განაცხადა, რომ მათი აზრით, საქართველოს ხელისუფლებას მომხდართან დაკავშირებით პასუხისმგებლობა საერთოდ არ ეკისრება.²³

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის განცხადების მიუხედავად, რომ გატაცება საქართველოს ხელისუფლებისთვის „ძალიან სერიოზული ჩავარდნა“ იყო, გამოძიების დაწყებიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ, საზოგადოებისთვის ჯერ ისევ ბუნდოვანია, თუ ვინ არის ამ საქმეზე პასუხისმგებელი.²⁴ აღსანიშნავია, რომ 13 ნოემბერს, პრემიერმა კვირიკაშვილმა შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი თანამდებობრივად დააქვეითა, თუმცა ამ ნაბიჯის მუხტარლის გატაცების საქმესთან დაკავშირების ნიშანი არ არსებობს.²⁵ ჩამოქვეითებამდე, მღებრიშვილმა თანამდებობიდან გაათავისუფლა საქართველოს სასაზღვრო პოლიციისა და კონტრდაზერვის სამსახურების ხელმძღვანელები, როგორც ჩანს იმიტომ, რომ მათ გატაცების ფაქტის თავიდან აცილება ვერ შეძლეს.²⁶

ამის მიუხედავად, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ ნდობას მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა. 19 თებერვალს, სამოქალაქო საზოგადოების 35-მა ორგანიზაციამ და მედია საშუალებებმა, გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება, რომლითაც პარლამენტს საგამოძიებო კომისიის შექმნისკენ მოუწოდეს²⁷. განცხადებაში აღნიშნულია “სერიოზული ხარვეზები”, რომლებმაც „მნიშვნელოვნად შეამცირა საზოგადოების ნდობა შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი“²⁸. დღემდე, ქართული ოცნების საპარლამენტო უმრავლესობა, მოთხოვნილი საპარლამენტო გამოძიების წინააღმდეგია. აღსანიშნავია, რომ საპარლამენტო გამოძიების მოთხოვნას, არაერთხელ დაუჭირა მხარი საპარლამენტო უმცირესობაში მყოფმა – ევროპულმა საქართველომ.

ეს ყოველივე, საქართველოს საგარეო პოლიტიკისთვის მნიშვნელოვან ჩავარდნას წარმოადგენს, რადგან ინციდენტი ევროკავშირში საქართველოს პარტნიორებს ერთ-ერთზე მიუთითებს: ან არჩეულ მთავრობას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე კონტროლი არ გაააჩნია; ან (უარეს შემთხვევაში), მთავრობას არ სურს პატივი სცეს ადამიანის უფლებათა ნორმებს, როცა უფრო ძლიერი მეზობლებისგან ზეწოლას განიცდის.²⁹ ასეთი ვითარება, კი ცხადია

²² "Public Attitudes in Georgia, June 2017", Caucasus Research Resource Center, <http://caucasusbarometer.org/en/nj2017ge/AZJRINF/>.

²³ "Public Attitudes in Georgia, June 2017", Caucasus Research Resource Center, <http://caucasusbarometer.org/en/nj2017ge/AZRJNRS/>.

²⁴ "აფგან მუხტარლის ექვსწლიანი პატიმრობა მიესაჯა", Civil Georgia, 13 იანვარი 2018, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=30793>.

²⁵ "PM Announces Structural, Staff Changes in Cabinet", Civil Georgia, 13 ნოემბერი 2017, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=30623>.

²⁶ Krikorian, O. (2017) "The Curious Case of Afgan Mukhtarli", Stratfor Worldview, 19 ნოემბერი, <https://worldview.stratfor.com/article/curious-case-afgan-mukhtarli>.

²⁷ CSOs, Media Outlets Call for Parliamentary Probe into Mukhtarli Case", Civil Georgia, 19 February 2018, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=30881>

²⁸ იქვე

²⁹ რადგან გამოძიების შედეგები არ არის გამოქვეყნებული, დაზუსტებით იმის გარკვევა შეუძლებელია მთავრობის რომელ ოფიციალურ პირებს ჰქონდათ გატაცების შესახებ ინფორმაცია ან მონაწილეობდნენ ამ პროცესში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ევროკავშირთან შემდგომ ინტეგრაციას აფერხებს. იმისათვის, რომ ქვეყნის შიგნით და გარეთ ნდობა აღიდგინოს, საქართველოს მთავრობა ანგარიშვალდებული უნდა

იყოს და ეფექტური მექანიზმები უნდა შეიმუშავოს, მომავალში მსგავსი დარღვევების თავიდან ასაცილებლად.

აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის სამმხრივი თანამშრომლობა

ბოლო ათწლეულებში წარმოებული პოლიტიკური პროცესების შედეგად აზერბაიჯანი-საქართველო და თურქეთის ურთიერთდამოკიდებულება მკვეთრად გაიზარდა. სხვადსხვა სავაჭრო-ეკონომიკური და ენერგო პროექტების წყალობით აღნიშნულმა თანამშრომლობამ სტრატეგიული ხასიათი შეიძინა. თუმცა, რიგი მიზეზების გამო აზერბაიჯანი და თურქეთი პრობლემური პარტნიორები არიან. ავტორიტარული რეჟიმების ქონასთან ერთად, ორივე ქვეყანა თანდათანობით ჩამოშორდა ევროკავშირს. თურქეთის შემთხვევაში ურთიერთობა ღიად ანტაგონისტური გახდა.³⁰ აზერბაიჯანის მიერ ადამიანის უფლებების აშკარა ხელყოფაც ასევე, პრობლემატურია ევროკავშირისთვის, მიუხედავად იმისა, რომ „სამხრეთ გაზის დერეფანში“ აზერბაიჯანის მნიშვნელობამ ის გარკვეულწილად კრიტიკისგან დაიცვა.³¹

ჩაბუქის და მუხტარლის საქმესთან დაკავშირებული ინცინდენტების პრობლემატურობის მიუხედავად, საქართველოს აზერბაიჯანთან და თურქეთთან კავშირების შეზღუდვის არჩევანი არ აქვს. ეს სტრატეგიული ურთიერთობები საქართველოსთვის გარდაუვალია, განსაკუთრებით, ეკონო-

მიკის სფეროში.³² მაგალითისთვის, საქართველოში იმპორტირებული ბუნებრივი გაზი თითქმის მთლიანად აზერბაიჯანის მიერ არის მოწოდებული. მართალია, ამგვარი ურთიერთობა საქართველოს რუსეთის მხრიდან წარმოებული რეგიონული ზენტრის შესუსტებაში ეხმარება, თუმცა, საქართველო-აზერბაიჯანის ორმხრივი ურთიერთობების ქრილში აზერბაიჯანის დომინანტური პოზიცია, მას სტრატეგიულ ბერკეტს აძლევს, რაც მუხტარლის საქმესთან დაკავშირებული ინცინდენტის დროს ბოროტად იქნა გამოყენებული.

საქართველოს პოლიტიკურ დამოკიდებულებას, აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის სამმხრივი თანამშრომლობის მზარდი მნიშვნელობაც უსვამს ხაზს. თანამშრომლობის რეგიონული ფორმატი 2011 წელს, ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით დაიწყო. სამი ქვეყნისგან შემდგარი ჯგუფი, აზერბაიჯანიდან და ცენტრალური აზიიდან თურქეთისთვის ენერგიის მიწოდებას ამარტივებს. ამ ფორმატში საქართველოს გეოგრაფიული საყრდენის ფუნქცია აკისრია.³³ ასევე, სამივე ქვეყანა ერთობლივადაა ჩართული თბილისი-ბაქო-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის,

³⁰ Sanchez R. (2017), "Erdogan calls on Turkish Families in Europe to have five children to protect against 'injustices'". The Telegraph, 17 მარტი, <http://www.telegraph.co.uk/news/2017/03/17/erdogan-calls-turkish-families-have-five-children-bulwark-against/>.

³¹ Southern Gas Corridor", tap-ag.com, <https://www.tap-ag.com/the-pipeline/the-big-picture/southern-gas-corridor>.

³² "External Merchandise Trade in Georgia", Geostat, 20 ნოემბერი 2017, http://geostat.ge/cms/site_images/_files/english/bop/FTrade_10_2017_ENG-with%20cover.pdf.

³³ Cecire, M. (2013) "Turkey-Georgia-Azerbaijan: Trilateralism and the Future of Black Sea Regional Geopolitics", The Central Asia-Caucasus Analyst, 16 ოქტომბერი, <https://www.cacianalyst.org/publications/analytical-articles/item/12837-turkey-georgia-azerbaijan-trilateralism-and-the-future-of-black-sea-regional-geopolitics.html>.

თბილისი-ბაქო-ჯეიპანის ნავთობსადენის და თბილისი-ბაქო-ერზრუმის გაზსადენის პროექტებში. სამმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში უსაფრთხოების კომპონენტიც არის წარმოდგენილი. 2014 წლიდან ყოველ-წლიური თავდაცვის მინისტერიალი ტარდება. რამდენადმე პარადოქსულია ისიც, რომ 2012 წლის „ტრაპიზონის დეკლარაცია“ – დოკუმენტი, რომელიც სამმხრივი თნამშრომლობის ძირითად პრინციპებსა და პრიორიტეტებს ადგენს – კონკრეტულად „საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპებისა და ნორმების“ და „სახელმწიფოების პოლიტიკური დამოუკიდებლობის“ უზრუნველყოფაზე მიუთითებს.³⁴ ირონიულია ის რომ, როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმები, ასევე საქართველოს სუვერენიტეტი, თავად სამმხრივი თანამშრომლობის ფორმატითა დაფარული, თუმცა, პრაქტიკაში ის არ ხორციელდება.

ამ შემთხვევაში რეგიონული ინტეგრაცია წარმოადგენს ე.წ. „catch-22“-ს. საერთაშორისო ვაჭრობისა და ენერგო უსაფრთხოების საკითხების გამო საქართველომ აზერბაიჯანთან და თურქეთთან კავშირები უნდა გააღრმავოს. ასევე, საქართველოს მონაწილეობა ჩინეთის „სარტყელისა და გზის“ ინიციატივაში მისი, როგორც ევროპასა და აზიას შორის ხიდის სტატუსს უზრუნველყოფს, რაც ადგილობრივ კონტექსტში, აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის ხიდის სტატუსს ნიშნავს.³⁵ თუმცა, ავტორიტარულ მეზობლებზე ზედმეტ დამოკიდებულებას საქართველოს დემოკრატიული განვითარების შეფერხებისა და ევროკავშირში მისი ინტეგრაციის დაბრკოლების საფრთხე ახლავს. ამდენად, საქართველომ აზერბაიჯანსა და თურქეთთან ეკონომიკისა და უსაფრთხოების სფეროებში თანამშრომლობა-ევროკავშირთან პოლიტიკური ინტეგრაციისგან უნდა განაცალკევოს.

საქართველოს ურთიერთობები ევროკავშირთან

ევროკავშირთან „ასოცირების შესახებ შეთანხმებას“ (AA) საქართველომ ხელი 2014 წელს მოაწერა. 752 გვერდიანი დოკუმენტის ძირითადი ნაწილი ეკონომიკურ საკითხებს ეხება, რომელიც „ლრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭროს სივრცის შესახებ“ (DCFTA) შეთანხმების ნაწილშია მოქცეულია. ხოლო, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო შეთანხმებების დაცვა „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ 1-ელ, მე-2, მე-4, მე-12, მე-13 და მე-15 მუხლებშია ჩაწ-

ერილი.³⁶ მაგალითად, კონკრეტულად მე-15 მუხლში საუბარია საქართველოს ვალდებულებაზე, პატივი სცეს საქართველოში კანონიერად მცხოვრები, ეროვნებით არაქართველების უფლებებსა და სტატუსს. შესაბამისად, მუხტარლის და სხვა დისიდენტების დაცვის უუნარობა, არა მხოლოდ სკანდალს, არამედ საქართველოს მიერ ევროკავშირთან ინტეგრაციაზე აღებული ვალდებულებების დარღვევასაც წარმოადგენს.

³⁴ „Trabzon Declaration of the Ministers of Foreign Affairs of the Republic of Azerbaijan, Georgia and the Republic of Turkey“, Ministry of Foreign Affairs of Turkey, 8 ივნისი 2012, http://www.mfa.gov.tr/trabzon-declaration-of-the-ministers-of-foreign-affairs-of-the-republic-of-azerbaijan_-georgia-and-the-republic-of-turkey_-08-june-2012_-trabzon.en.mfa.

³⁵ დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ Larsen, J. (2017) „Georgia-China Relations: The Geopolitics of the Belt and Road“, Georgian Institute of Politics, http://gip.ge/wp-content/uploads/2017/10/Chineti%20Saqartvelo%20Eng_Ydit.pdf.

³⁶ „EU/Georgia Association Agreement“, European External Action Service, 13 სეტემბერი 2016, https://eeas.europa.eu/delegations/georgia_en/9740/EU/Georgia%20Association%20Agreement.

საქართველოს განსაზღვრული ვალდებულებები აქვს „ევროპის საბჭოს“ მიმართაც, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით კონსტინენტის წამყვანი ორგანოა. საქართველო ორგანიზაციას 1999 წელს შეუერთდა. შესაბამისად, აღებული აქვს ვალდებულება, ქვეყანაში გააძლიეროს კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებების დაცვა, მათ შორის წამების პრევენცია. ამ ვალდებულებებს ჩაბუქის და მუხტარლის საქმეები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. ნოემბერში, „ევროპის საბჭოს“ საპარალამენტო ასამბლეის თანათავმჯდომარეებმა მუხტარლის საქმეზე შემდეგი განცხადება გაავრცელეს:

„აქამდე საქართველოს სამართლიანად ჰქონდა საცხოვრებლად უსაფრთხო ქვეყნის ძალიან კარგი რეპუტაცია სხვა ქვეყნებიდან წამოსული იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც მათი შეხედულებებისა და მოსაზრებების გამო სასამართლო წესით დევნის ეშინიათ. ამიტომ, საქართველოს ხელისუფლებამ სრულად უნდა გამოიკვლიოს ამ საქმესთან დაკავშირებული ყველა ბრალდება და დაუყოვნებლივ შეაჩეროს საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანის მოქალაქის ჩაგვრა/შე-

ვიწროება, იმის მიუხედავად, თუ ვინ იქნება მცხვერპლი ან დამნაშავე.“³⁷

ნაკლებ სავარაუდოა, რომ ჩაბუქის და მუხტარლის საქმეებმა, როგორც ასეთი, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაცია სერიოზულად შეაფერხოს, თუმცა შესაძლოა, ეს შემთხვევები უფრო ღრმა პრობლემების მიმანიშნებელი იყოს, მათ შორის: ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურებზე ზედამხედველობის ნაკლებობა; პოლიტიკური ნების ნაკლებობა წინ აღუდგეს უფრო ძლიერი მეზობლებისგან მომდინარე ზეზოლას; დემოკრატიზაციისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით აღებული საერთაშორისო ვალდებულებების პატივისცემის ნაკლებობა. უფრო მეტიც, საქართველოს უუნარობამ, მოეხდინა მუხტარლის გატაცების პრევენცია და ჩაბუქის ექსტრადიციის მოთხოვნას შენინაალმდეგებოდა, შესაძლოა შემდგომში აზერბაიჯანის და თურქეთის მხრიდან მსგავსი ქმედებები წაახალისოს. იმისათვის, რომ დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება და ადამიანის უფლებათა დაცვა ისეთი გზით გაგრძელდეს, რომელიც ევროკავშირთან ინტეგრაციას შეუწყობს ხელს, საქართველოს მთავრობამ მეზობელი სახელმწიფოების მიმართ, პოზიციების გასაძლიერებლად ზომები უნდა მიიღოს.

დასკვნა

დემოკრატიზაციისა და ევროკავშირთან ინტეგრაციის თვალსაზრისით საქართველო ახლა გზაჯვარედინზე იმყოფება. 2012 წლიდან მოყოლებული მიღწეული დემოკრატიული პროგრესის მიუხედავად, ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების კონსოლიდაცია როგორც ჩანს შეფერხდა. ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე, საქართველომ აღმოსავლეთ პარტნიორობით უზრუნველყო-

ფილი ყველა სარგებელი მიიღო – DCFTA და ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა. შემდეგი ლოგიკური ნაბიჯი წევრობის პერსპექტივა იქნებოდა. ეს კი ის საკითხია, რაზეც ევროკავშირის გაფართოებით გადაღლილი წევრი სახელმწიფოები ყოყმანობენ. შესაბამისად, ევროკავშირთან გაღრმავებული ინტეგრაციის მიღწევა უფრო გართულდება, თუკი საქართველო ამ პროცესში წინ ნელა წაიწევს.

³⁷ “Georgia: call for stronger system of checks and balances, including for security services”, Council of Europe, <https://www.coe.int/en/web/tbilisi/-/georgia-call-for-stronger-system-of-checks-and-balances-including-for-security-services>.

რადგან ასეთ რეგრესს ახლა უფრო მაღალი ფასი აქვს, საქართველოს მთავრობამ დემოკრატიზაციის პროცესების გასაღრმავებლად ძალისხმევა უნდა გააორმავოს და მიღწეული წარმატებები დაანახოს ევროკავშირს. სამწევაროდ, აღნიშნულ ქმედებებში, საქართველოს ვერ ეხმარება აზერბაიჯანსა და თურქეთთან არსებული სტრატეგიული ურთიერთობები. ეკონომიკური და უსაფრთხოების ფაქტორების გამო, საქართველომ რეგიონული ურთიერთობებისთვის უპირატესობის მინიჭება უნდა გააგრძელოს, განსაკუთრებით კი სამმხრივი თანამშრომლობის ფორმატში.

თუმცა, საქართველო მის ორ მეზობელთან ფუნქციურად ისე უნდა ინტეგრირდეს, რომ ამან ხელი არ შეუშალოს დემოკრატიზაციის პროცესს ან ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმების პატივიცემას. ეს კი ნიშნავს, რომ საქართველომ აზერბაიჯანთან და თურქეთთან ურთიერთობები ევროკავშირთან ინტეგრაციის ძალისხმევისგან უნდა გამიჯნოს. ასევე, საქართველოს მთავრობამ, შიდა აუდიტორიას და ამომრჩეველს უნდა დაანახოს, რომ საკუთარ საზღვრებში ის დემოკრატიის პრინციპებსა და ადამიანის უფლებებს დაიცავს.

პირითადი მიზნები და რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობისთვის:

○ საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, სერიოზულად უნდა განიხილოს მუსტაფა ემრე ჩაბუქის ექსტრადიციის უარყოფის საკითხი, მის წინააღმდეგ საკმარისი სამსილის არქონისა და ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულებების მოშეველიებით, რომელიც საქართველომ საერთაშორისო ნორმებით და ევროკავშირთან ხელმოწერილი შეთანხმებებით აიღო. საქართველოს ხელისუფლებას არ აქვს ექსტრადირების ვალდებულება. თუმცა, ექსტრადირებაზე უარის თქმას შესაძლოა, თურქეთისგან საპასუხო რექცია მოჰყვეს. ასეთ შემთხვევაში, საქართველოს შეუძლია მიუთითოს მის მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებზე, ამასთან აშშ-სა და ევროკავშირისგან დიპლომატიური მხარდაჭერა მოითხოვოს.

○ შინაგან საქმეთა სამინისტრო, გამოძიების შედეგები უნდა გამოაქვეყნოს და მუხტარლის გატაცებაზე პასუხისმგებელი პირების მიმართ სად-

ამსჯელო ღონისძიებები გაატაროს. საუკეთესო შემთხვევა იქნება, თუკი შინაგან საქმეთა სამინისტრომ მუხტარლის უსაფრთხოების გარანტირება ვერ უზრუნველყო. უარეს შემთხვევაში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წევრები თავად მონაწილეობდნენ მის გატაცებაში. გამოძიების შეფერხება შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ზოგადად, საქართველოს მთავრობის მიმართ ნდობას მხოლოდ შეამცირებს.

○ საქართველოს მთავრობამ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე ზედამხედველობა უნდა გააძლიეროს, რის დანაკლისაც ქვეყანა ათეულობით წელია განიცდის. კერძოდ, მან უნდა უზრუნველყოს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროსგან სრულიად დამოუკიდებელ ამ ორგანოს სავარაუდო დარღვევების გამოძიების იურისდიქცია მიეცეს. ამ მხრივ, დამამედებელი ნაბიჯი მთავრობამ უკვე გადადგა და შეიქმნა „სახელმწიფო ინსპექტორი“.

რის სამსახური“, რომელიც პარლა-
მენტის მიმართ ანგარიშვალდებული
საგამოძიებო ორგანო იქნება.³⁸ თუმ-
ცა, მისი ეფექტურობის შეფასებამდე,
ორგანომ ჯერ ფუნქციონირება უნდა
დაიწყოს.

- საქართველოს მთავრობამ ევროკავ-
შირის სტრუქტურებთან უფრო აქტი-
ურად უნდა ითანამშრომლოს. ევრო-
კავშირთან ინტეგრაციის ფუნქციური
შეუქცევადობა, აზერბაიჯანისა და
თურქეთის ხელისუფლებას საქართ-
ველოს შიდა საქმეებში ჩარევისთვის
ნაკლებ სტიმულს მისცემს. საქართ-
ველომ აზერბაიჯანისა და თურქეთის
ხელისუფლებამ უნდა დაანახოს, რომ
მის მიერ „ასოცირების შესახებ შე-
თანხმებითა“ და სხვა რელევანტური
ხელშეკრულებებით აღებული ვალ-
დებულებები მტკიცე და ურყევია.
- საქართველოს მთავრობამ უნდა წარ-
მოაჩინოს, რომ აზერბაიჯანის მხრიდან
საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევა
ორი ქვეყნის ურთიერთობებისთვის
მომგებიანი არ არის. აზერბაიჯან-
ის ქმედებებმა, საქართველოს სახელ-
მწიფო უსაფრთხოების სამსახურის
დახმარებით თუ მის გარეშე, საქა-
რთველოს სამოქალაქო საზოგადოე-

ბისა და პოლიტიკური საზოგადოე-
ბის გარკვეული ნაწილის გაუცხოება
გამოიწვია.³⁹ ეს ყოველივე ორმხრივი
ურთიერთობისთვის მნიშვნელოვან
საკითხებზე აზერბაიჯანთან საქართ-
ველოს თანამშრომლობის სივრცეს
ზღუდავს, რაც საბოლოოდ, აზერბაი-
ჯანის სახელმწიფოებრივ ინტერესებს
აზიანს.

- საქართველოს მთავრობამ აზერბაი-
ჯანის და თურქეთის მიმართ მის ხელთ
არსებული ბერკეტი უნდა გამოიყენოს.
აღნიშნული ორი ქვეყნის ტერიტორი-
ული სიდიდისა და ეკონომიკური სი-
ძლიერის მიუხედავად, საქართველო
მნიშვნელოვან როლს თამაშობს კასპი-
ის ზღვის რეგიონსა და ცენტრალურ
აზიასთან თურქეთის დაკავშირებაში.
მათ შორის, თურქეთში გაზის ტრან-
ზიტის კუთხით, რომელიც ბუნებრივი
გაზის ძირითადი იმპორტიორი ქვეყა-
ნაა. ასევე, საქართველო ბაქო-თბილი-
სი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის,
ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის გაზსადენი-
სა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის ნავ-
თობსადენის ბურჯს წარმოადგენს.
ამასთან, საქართველო ჩინეთის „სარ-
ტყელის და გზის ინიციატივის“ რეგიო-
ნული ჰაბია. რომელშიც სამივე ქვეყ-
ანას აქვს თავისი სარგებელი.

ევროკავშირისთვის:

- ევროკავშირმა ბალანსი უნდა დაი-
ჭიროს. შიდა რეფორმების განხორ-
ციელების სანაცვლოდ, „მეტი მეტისთ-
ვის“ პრინციპის მეშვეობით, მან

გაზრდილი მხარდაჭერა და ხელშესახ-
ები სტიმულები უნდა შესთავაზოს
საქართველოს. აზერბაიჯანისა და
თურქეთის მხრიდან წარმოებული
ავტორიტარული ზეწოლის აღიარებას,

³⁸ იხილეთ: “Gov’t launched State Inspector’s Service to study alleged offences by law enforcers”, Agenda.ge, 31 ianvari 2018, <http://agenda.ge/news/94857/eng>.

³⁹ საქართველოს მთლიანი მოსახლეობის დამოკიდებულებების ზუსტი შეფასება შეუძლებელია შესაბამისი
გამოკითხვის მონაცემების არარსებობის გამო. NDI-ის და CRRC-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვა აჩვენ-
ებს, რომ მოსახლეობის უმრავლესობა ინციდენტზე პასუხისმგებლობას საქართველოს მთავრობას აკისრებს,
აზერბაიჯანის მთავრობის მიმართ დამოკიდებულება კი არ შეცვლილა.

მხარდაჭერის ზრდა უნდა მოჰყვეს. თუმცა, აღნიშნული მხარდაჭერა პირობითი უნდა იყოს, საქართველოში სწრაფი და შეუფერხებელი რეფორმების განხორციელების სანაცვლოდ.

○ ევროკავშირმა უნდა გააძლიეროს ზე-ნოლა საქართველოს მთავრობაზე, მუხტარლის საქმის გამოძიების შედე-გები გამოაქვეყნოს. ეს მნიშვნელოვანი შეტყობინება იქნება სამი აუდიტორი-ისთვის: საქართველოს მთავრობისთ-ვის-რომ სახელმწიფო უსაფრთხოე-ბის სამსახურზე ზედამხედველობის უუნარობა ევროკავშირის მხრიდან შეუმჩნეველი არ დარჩება; საქართ-ველოს მოსახლეობისთვის, რომ ევ-როკავშირი საქართველოში დემოკრა-ტიზაციისა და ადამიანის უფლებების დაცვის ქომაგად რჩება; და (უმთავრე-სად) აზერბაიჯანის მთავრობისთვის, რომ ადამიანის უფლებების დაცვაზე

საქართველოს მიერ აღებული ვალ-დებულებები ჭეშმარიტი და ურყევია.

○ ევროკავშირმა უფრო მეტად უნდა მიმ-ართოს ყურადღება აზერბაიჯანში ადა-მიანის უფლებების კუთხით არსებულ ვითარებაზე. კერძოდ, მან სათანადო პასუხი უნდა გასცეს აზერბაიჯანის მთავრობის მცდელობას—შეავიწროოს საზღვარგარეთ, მათ შორის საქართ-ველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი დისიდენტები.

○ ევროკავშირი უნდა შეეცადოს შუა-მავლის როლი მოირგოს ჩაბუქის ექტრადიციის საკითხზე, საქართვე-ლოსა და თურქეთს შორის შეთანხ-მების მისაღწევად. კერძოდ, ეს ნიშ-ნავს იმის მკაფიოდ გამოხატვას, რომ თურქეთმა ჩაბუქის მიმართ არსებული მოთხოვნები უკუაგდოს.

დემოკრატიული პოსტლიდაცია
საქართველოში: რატომ არის
პოსტლი მნიშვნელოვანი?

ლევან პახიშვილი¹

მოკლე შინაარსი

ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში არსებული მზარდი პოპულიზმისა და დემოკრატიული დაღმასვლის ფონზე, საქართველოში დემოკრატიული კონსოლიდაციის ნაკლებობა მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა. მიიჩნევა, რომ ევროკავშირის პირობითობის პოლიტიკა საქართველოში დემოკრატიზაციისა და რეფორმების დღის წესრიგში პროგრესის მისაღწევად მთავარი მამოძრავებელი ძალაა. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ მსოფლიოში არსებული გაურკვევლობა საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული კონსოლიდაციის პროცესს ზიანს არ აყენებდეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც, როგორც ჩანს, საქართველომ ევროკავშირისგან ყველაზე მნიშვნელოვანი წამახალისებელი ჯილდო უკვე მიიღო. საქართველოს პოლიტიკურ ელიტასა და ქართულ საზოგადოებას შორის ლიბერალური დემოკრატიული ღირებულებებისა და დემოკრატიის მნიშვნელობაზე კონსენსუსის არსებობა, დემოკრატიული რეფორმების შიდა მხარდაჭერის განგრძობითობისა და ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. თუმცა, როგორც

ჩანს, საქართველოში ამგვარი კონსენსუსის ნაკლებობაა. ამ მდგომარეობის დაძლევა ისეთი მნიშვნელოვანი აქტორების მიერ უნდა მოხდეს, როგორებიც არიან პოლიტიკური პარტიები, სამოქალაქო საზოგადოება, ევროკავშირი და ა.შ.

წინამდებარე დოკუმენტი კონსენსუსის ნაკლებობის პრობლემას ეხება და ამტკიცებს, რომ საზოგადოებასთან კომუნიკაციის დროს საქართველოში არსებულმა ძირითადმა პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა გაზარდონ თავიანთი ვალდებულება, გააძლიერონ მცდელობა და ყურადღება გაამახვილონ დემოკრატიულ ღირებულებებზე. სამოქალაქო საზოგადოება კი პოლიტიკურ პარტიებს ამ მიზნის მიღწევაში უნდა დაეხმაროს და დემოკრატიაზე კონსენსუსის მისაღწევად თავისი არხები გამოიყენოს. აღნიშნულ პროცესში დახმარება, საქართველოს სოციო-პოლიტიკურ ცხოვრებაში ღირებულებათა ცვლილების გაზრდილი მხარდაჭერის მეშვეობით, ევროკავშირსაც შეუძლია.

შესავალი

პოსტკომუნისტურ ქვეყნებში დემოკრატიისკენ ტრანზიციის პერიოდი მშვიდი და პომოგენური პროცესი არ ყოფილა. ზოგიერთ მათგანში, სადაც საზოგადოებებმა დემოკრატიასა და ავტოკრატიას შორის მერყეობის თითქმის სამი ათწლეული გამოიარეს, დემოკრატიული კონსოლიდაციის არარსებობა ჯერ კიდევ შეინიშნება. ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში მემარჯვენე პოპულიზმის ზრდის გამო, რომელიც ავტორიტარული ტენდენციების შედეგს, ახლა განიცდის. პოპულიზმისა და ავტორიტარიზმის ზრდის ამ კონტექსტში, დემოკრატიის კონსოლიდაცია დღეს იმაზე მნიშვნელოვანია, ვიდრე

ეს აქამდე ყოფილა. პოპულიზმის მძიმე ტვირთი, სხვადასხვა ხარისხით, ისეთმა უკვე დამკვიდრებულმა დემოკრატიულმა სახელმწიფოებმაც გამოსცადეს, როგორიცაა აშშ, ბრიტანეთი, ნიდერლანდები, ავსტრია, გერმანია და საფრანგეთი. ამდენად, გასაკვირი არ უნდა იყოს, თუკი ისეთი პოსტკომუნისტური ქვეყნები, როგორიც პოლონეთი და უნგრეთია, დემოკრატიულ დაღმასვლას, როგორც მზარდი ავტორიტარული ტენდენციების შედეგს, ახლა განიცდის. პოპულიზმისა და ავტორიტარიზმის ზრდის ამ კონტექსტში, დემოკრატიის კონსოლიდაცი-

¹ ლევან კახიშვილი – საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის ანალიტიკოსი

ის ნაკლებობის გამო საქართველო კიდევ უფრო მყიფედ გამოიყურება. სანამ საქართველოს მემარჯვენე ავტორიტარული პოპულიზმის ძლიერი ტალღა დაარტყამს, საზოგადოებასა და ქვეყნის პოლიტიკურ ელიტაში ლიბერალურ დემოკრატიულ ღირებულებებზე კონსენსუსის შექმნა და კონსოლიდირება არის საჭირო, რათა მოსალოდნელი საფრთხეების მიმართ პოლიტიკური სისტემისა და საქართველოს მოქალაქეების მედეგობა იქნას მიღწეული.

პოლიტიკურ ელიტასა და საზოგადოებას შორის კონსენსუსის მაღალი ხარისხის არსებობა საჭირო იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იმართებოდეს ქვეყანა და თუ როგორ უნდა გაძლიერდეს პოლიტიკური ინსტიტუტები. შესაბამისად, დემოკრატიული კონსოლიდაციის პროცესის შესაფასებლად, საზოგადოებასა და პოლიტიკურ პარტიებში დემოკრატიისადმი არსებული დამოკიდებულებების გაანალიზება მნიშვნელოვანია. ქვემოთ განხილული მონაცემები დემოკრატიული მმართველობის მნიშვნელობის მიმართ საზოგადოებრივი კონსენსუსის ნაკლებობაზე მიუთითებს. ეს კი რისკის ქვეშ აყენებს საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული კონსოლიდაციის პროცესს, რადგან მოქალაქეები, რომელთაც დემოკრატიის ფასი და მნიშვნელობა არ ესმით, ავტორიტარულ მმართველობასაც უფრო მარტივად შეინყნარებენ. მეორე მხრივ, იმის

მიუხედავად, რომ საქართველოში მოღვაწე პოლიტიკური პარტიები დემოკრატიის მნიშვნელობას აღიარებენ, თავიანთ წინა-საარჩევნო პროგრამებში დემოკრატიულ ღირებულებებს ისინი სათანადო ყურადღებას არ უთმობენ. პოლიტიკურ პარტიას, რომელიც დემოკრატიული ღირებულებებისადმი სრულიად ერთგული არ არის, პოლიტიკური ძალაუფლების გარკვეული ხარისხის მოპოვების შემდეგ ავტორიტარული ტენდენციების შეთვისება მარტივად შეუძლია. ეს კი განსაკუთრებით მოსალოდნელი მაშინაა, როცა დემოკრატიის მნიშვნელობაზე ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსი არ არსებობს. ამგვარად, ამ ორ საკითხს საქართველოს დემოკრატიული კონსოლიდაციისთვის საფრთხის შექმნა მარტივად შეუძლია, რადგან ქვეყანა ჯერ კიდევ დემოკრატიული კონსოლიდაციის გზაზე იმყოფება. აღნიშნულ სიტუაციას კიდევ უფრო ამწვავებს ორი საგარეო ფაქტორი: ევროკავშირის პირობითობის² პოლიტიკაში მიმზიდველი ჯილდოების არარსებობა და ავტორიტარული მეზობლების ყოლა, რომლებიც, როგორ ჩანს, წნების ქვეშ ამყოფებენ თბილის, რათა ეს უკანასკნელი მათ სურვილს დაემორჩილოს³. იმისათვის, რომ საქართველომ ღიბერალურ დემოკრატიულ ღირებულებებზე კონსენსუსის მიაღწიოს და, შედეგად, დემოკრატიული კონსოლიდაციის პროცესის ერთგული დარჩეს, ის ქვეყნის შიგნით არსებულ სიტუაციაზე უნდა კონცენტრირდეს.

მეთოდოლოგია

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, დემოკრატიული კონსოლიდაციის პროცესში ღირებულებები და დამოკიდებულებები ძალზე მნიშვნელოვანია. შესაბამისად, საზოგადოე-

ბრივი აზრისა და პარტიების პოზიციების გაანალიზება აუცილებელია. დემოკრატიულ მმართველობაზე საზოგადოების ხედვის შესაფასებლად წინამდებარე ნაშრომში „კა-

² იხ. Lebanidze, B. 2018. "Making Georgia's democracy work: Western political conditionality and domestic agendas of Georgian political parties". [online] ხელმისაწვდომია: <http://gip.ge/making-georgias-democracy-work-western-political-conditionality-domestic-agendas-georgian-political-parties/>

³ იხ. Larsen, J. 2018. "Good Fences Make Good Neighbors: How Georgia Can Resist Authoritarian Pressure". [online] ხელმისაწვდომია: <http://gip.ge/good-fences-make-good-neighbors-georgia-can-resist-authoritarian-pressure/>

ვკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის“ (CRRC) მიერ ჩატარებული „კავკასიის ბარომეტრისა“ და „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ (NDI) საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების შედეგები იქნა გამოყენებული. მისი მეშვეობით შესაძლებელი გახდა საზოგადოებრივი დამოკიდებულებების ანალიზი და უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში აღმოცენებულ ტენდენციებზე დაკვირვება.

პარტიების პოზიციებისა და დემოკრატიული ღირებულებებისადმი მათი მზაობის

ხარისხის გარკვევის მიზნით, კონტენტ-ანალიზის მეშვეობით, ხუთი ქართული პოლიტიკური პარტიის წინასაარჩევნო პროგრამა გაანალიზდა. ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა შემდეგი ხუთი პარტიის 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მანიფესტი: „ქართული ოცნება“; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“; „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“; „ლეიიბორისტული პარტია“; და „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“. სხვადასხვა შეზღუდვების გათვალისწინებით, კვლევაში სხვა პარტიების ჩართვა არ მოხდა.

კონსენსუსი დემოკრატიაზე – ანალიზი საზოგადოებისა და კოლექტური ელიტის კუთხით

დემოკრატიაციის პროცესში დამოკიდებულებები და ღირებულებები მნიშვნელოვანია. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო აღნიშნულ პროცესს ახლა გადის, დემოკრატიასა და მასთან დაკავშირებულ ღირებულებებზე საზოგადოებრივი აზრი უფრო პოზიტიური უნდა იყოს. თუმცა, ეს ასე არ არის: მიუხედავად იმისა, რომ ტენდენცია ყოველთვის არ იძლევა ცალ-

სახა დასკვნების გაკეთების საშუალებას, ზოგ შემთხვევაში საზოგადოებრივი აზრი სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებით მიდის. უფრო მეტიც, იმის მიუხედავად, რომ პოლიტიკური პარტიების დისკურსში დემოკრატია წარმოდგენილი, თავიანთ წინასაარჩევნო პროგრამებში დემოკრატიულ ღირებულებებს ისინი ყოველთვის როდი უსვამენ ხაზს.

დემოკრატიისადმი საზოგადოების ამბივალენტობა

„კავკასიის ბარომეტრის“ გამოკითხვაში⁴, რესპონდენტებს ეკითხებოდნენ, თუ რომელი მოსაზრება იდგა ყველაზე ახლოს მათ შეხედულებებთან: „დემოკრატია ყველა სხვა პოლიტიკურ წყობაზე უკეთესია“; „ზოგ შემთხვევაში არადემოკრატიული მთავრობა უფრო კარგია, ვიდრე დემოკრატიული“; ან „ჩემნაირი ადამიანისთვის არა აქვს მნიშვნელობა, როგორი მთავრობა გვეყოლება“. მართალია, საღი აზრი შემოგვთავაზებდა, რომ დემოკრატია მმართველობის ყველა სხვა ფორმაზე უკეთესია, თუმცა გამოკ-


ითხვის შედეგად მიღებული მონაცემები საპირისპიროს აჩვენებს (იხილეთ გრაფიკი 1). 2015 წელს რესპონდენტების ნახევარზე მეტი დემოკრატიას მმართველობის საუკეთესო ფორმად არ მიიჩნევდა, რაც 2012 წლის გამოკითხვის შედეგებზე(აღნიშნულ მოსაზრებას მხარდაჭერის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა) 21 %-ით დაბალია⁵. ასეთი დაღმავალი ტენდენცია საგანგშოა და ქართული საზოგადოების ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილებაზე მიუთითებს, რაც შესაძლოა სახიფათო იყოს.

⁴ Caucasus Research Resources Center. 2011-2015. Time-series dataset Georgia. [online] ხელმისაწვდომია: <http://caucasusbarometer.org/>

⁵ იქვე.

გრაფიკი 1. დემოკრატიისადმი საზოგადოების დამოკიდებულება

ATTDEM: Attitude towards democracy (%)



Caucasus Barometer time-series dataset Georgia
Retrieved from <http://caucasusbarometer.org/>

გამოკითხვის შედეგები საკითხზე – როგორია ქართული საზოგადოების ხედვა მთავრობასა და მის როლზე, ასევე, აჩვენებს, რომ დემოკრატიზაციის პროცესი საქართველოში საზოგადოებრივ ღირებულებებზე აუცილებლად პოზიტიურ გავლენას არ ახდენს. 2015 წელს მოსახლეობის 48 % ეთანხმებოდა მოსაზრებას, რომ „ადამიანები ბავშვებივით არიან. მთავრობამ ისე უნდა იზრუნოს მათზე, როგორც მშობელი ზრუნავს შვილებზე“, მაშინ როცა 41 % ფიქრობდა, რომ „მთავრობა ხალხის მიერაა დაქირავებული: ადამიანები უნდა იქცეოდნენ, როგორც უფროსები, და უნდა აკონ-


ტროლებდნენ მთავრობას“.⁶ 2008 წლიდან მოყოლებული, ეს კითხვები შვიდ გამოკითხვაში იყო წარმოდგენილი და მხოლოდ ორი შემთხვევა დაფიქსირდა – 2013 წელს (48 %) და 2008 წელს (52 %) – როდესაც, რესპონდენტების უმრავლესობა მთავრობას უმთავრესად, როგორც დაქირავებულს ისე მოიაზრებდა.⁷ აღნიშნული ტენდენცია საქართველოში მშობლის მსგავსი ხელისუფლების მნიშვნელობაზე მიუთითებს, რაც წინა ტენდენციის მსგავსად აჩვენებს, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილებას გამოხატავს.

⁶ იქვე.

⁷ იქვე.

გრაფიკი 2. მთავრობის როლის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულება

GOVTROL: Government as parent vs government as employee (%)



დემოკრატიისადმი ასეთი ამბივალენტური დამოკიდებულება შესაძლოა, დემოკრატიის არსისა და მნიშვნელობის გათვითცნობიერების ნაკლებობით აიხსნას. 2014 და 2015 წლებში ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) გამოიკვლია და გაზომა, თუ როგორ აღიქვამდა დემოკრატიას ქართული საზოგადოება. 2014 წლის გამოკითხვაში რესპონდენტებს უნდა დაესახელებინათ ის სამი მახასიათებელი, რაც მათი აზრით, დემოკრატიას განსაზღვრავდა⁸, ხოლო 2015 წელს, რესპონდენტებს შვიდი მახასიათებლისგან შემდგარი სია ჰქონდათ მიცემული და საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის თითოეული მათგანის მნიშვნელობის ხარისხი უნდა შეეფასებინათ⁹. ამ ორი გამოკითხვის შედეგები რადიკალურად

განსხვავდება ერთმანეთისგან. აღმოჩნდა, რომ როდესაც რესპონდენტების წინაშეა სპეციფიკური მახასიათებლები, ისინი მარტივად მიუთითებენ მათზე, როგორც დემოკრატიისთვის მნიშვნელოვან მახასიათებელზე. თუმცა, როდესაც მათ თავად უწევთ დემოკრატიის განმსაზღვრელი მახასიათებლების დასახელება, ამ შემთხვევაში კონსენსუსი ნაკლებია. მაგალითად, 2015 წელს, რესპონდენტების 91 %-მა განაცხადა, რომ საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები ძალიან მნიშვნელოვანია (დამატებით 6 %-მა თქვა, რომ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები ნაწილობრივ მნიშვნელოვანია).¹⁰ თუმცა 2014 წლის გამოკითხვაში, რესპონდენტების მხოლოდ

⁸ კითხვის ზუსტი ფორმულირება: „რას ნიშნავს თქვენთვის დემოკრატია? გთხოვთ, მიუთითეთ მაქსიმუმ სამი მახასიათებელი.“

⁹ კითხვის ზუსტი ფორმულირება: „ჩამოთვლილთაგან თითოეულზე, გთხოვთ მიუთითეთ, რამდენად მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელოა ის საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის?“

¹⁰ Caucasus Research Resources Center. 2011-2015. NDI: Public attitudes in Georgia, November 2015. [online] ხელმისაწვდომია: <http://caucasusbarometer.org/>

8 %-მა მიუთითა თავისუფალ და სამართლიან არჩევნებზე როგორც დემოკრატიის განმსაზღვრელ მახასიათებელზე.¹¹ ასეთი

რადიკალური განსხვავება მიანიშნებს, რომ საქართველოს მოქალაქეებმა, შესაძლოა, არ იცოდნენ, თუ რას ნიშნავს დემოკრატია.

ცხრილი 1: საქართველოს საზოგადოებრივი აზრი და დემოკრატიის მახასიათებლები¹²

#	მახასიათებლები	რეპონდენტების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც ასახელებდნენ კონკრეტულ მახასიათებელს დემოკრატიის მნიშვნელობის განმსაზღვრელი სამი მახასიათებლის სიაში (2014 წლის აპრილის გამოკითხვა)	რესპონდენტების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც კონკრეტულ მახასიათებელს აფასებდნენ, როგორც საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის მნიშვნელოვანს (2015 წლის ნოემბრის გამოკითხვა)
1	სიტყვის თავისუფლება	52	96
2	თანასწორობა კანონის წინაშე / კანონის უზენაესობის დაცვა ¹³	39	96
3	ადამიანის უფლებების დაცვა	33	97
4	სამუშაო ადგილები	18	N.A. ¹⁴
5	თავისუფლება	15	N.A.
6	თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები	8	97
7	მთავრობის მიერ მოსახლეობის აზრის გათვალიწინება	5	95
8	სხვადასხვა პროდუქტების შეძენის შესაძლებლობა	3	N.A.

¹¹ Caucasus Research Resources Center. 2011-2015. NDI: Public attitudes in Georgia, April 2014. [online] ხელმისაწვდომია: <http://caucasusbarometer.org/>

¹² ადაპტირებულია „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის“ წარმომადგენლის მიერ. 2011-2015. NDI: Public attitudes in Georgia, April 2014. [online] ხელმისაწვდომია: <http://caucasusbarometer.org/da> Caucasus Research Resources Center. 2011-2015. NDI: Public attitudes in Georgia, November 2015. [online] xelmisawvdomia: <http://caucasusbarometer.org/>

¹³ 2014 წლის გამოკითხვისას რესპონდენტებმა კანონის წინაშე თანასწორობა ან სამართლიანობის დაცვა დაასახელეს, თუმცა 2015 წლის გამოკითხვის სიაში მოცემული იყო კანონის უზენაესობის დაცვა. წინამდებარე კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, აღნიშნული ორი მახასიათებლის გაიგივება მოხდა.

¹⁴ N.A. – მახასიათებლები არ იყო სიაში ჩამოთვლილი შესაფასებლად, რესპონდენტებისთვის.

9	არასტაბილურობა	1	N.A.
10	კორუფციის აღმოფხვრა	N.A. ¹⁵	95
11	საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეების მონაწილეობა	N.A.	95

წინასაარჩევნო დაპირებები და დემოკრატია პოლიტიკური პარტიების პროგრამებში გრაფიკი 1-დან ჩანს, რომ მოსახლეობის თითქმის ერთმა მეხუთედმა არ იცის, თუ რა იფიქროს დემოკრატიაზე. ეს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილია, ამიტომ პოლიტიკურმა პარტიებმა დემოკრატიული მმართველობის სარგებლიანობის შესახებ საზოგადოებაში ცნობიერების დონის ამაღლებაზე უნდა იმუშაონ. თუმცა არსებობს პრობლემის მეორე მხარეც – თავიანთ წინასაარჩევნო პროგრამებში პარტიები დემოკრატიულ ღირებულებებზე საკმარისად არ ამახვილებენ ყურადღებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შორის დემოკრატიაზე მკაფიო კონსენსუსი შესაძლოა არ არსებობდეს, ან სულ მცირე იმას, რომ მმართველობის დემოკრატიულ ფორმაზე ამომრჩევლებისთვის შერეული სიგნალები იგზავნება.

ქართული პოლიტიკური პარტიების 2016 წლის წინასაარჩევნო პროგრამებში მითითებული დემოკრატიული ღირებულებები, შესაძლოა, სამ კატეგორიად დაიყოს (იხილეთ ცხრილი 1). პირველი კატეგორია მოიცავს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს; მეორე კატეგორია ეხება იმ ღირებულებებს, რომლებიც მთავრობის ანგარიშვალდებულებას უკავშირდება; ხოლო მესამე კატეგორია პოლიტიკური სისტემისა და ინსტიტუტების შესახებ დაპირებებთან არის დაკავშირებული. ანალიზის შედეგად ორი ძრითადი ტენდენცია გამოიკვეთა. პირველი, პოლიტიკურ პარტიებს შორის არ არსებობს მკაფიო კონსენსუსი თუ რას წარმოადგენს დემოკრატიული ღირებულებები. მეორე, საქართველოში დემოკრატიული მმართველობის მნიშვნელობის შესახებ დიდ და პატარა პარტიებს განსხვავებული ხედვა გააჩნიათ.

¹⁵ N.A. – მახასიათებლები არ იქნა დასახელებული რესპონდენტების მიერ.

**ცხრილი 2. წინასაარჩევნო პარტიულ პროგრამებში წარმოდგენილი დემოკრატიული
ლირებულებები¹⁶**

#	წინასაარჩევნო დაპირებები	პოლიტიკური პარტიები				
		„ქართული ოცნება“	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“	„ლეიბორისტული კარტია“	„დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო“
1	ადამიანის უფლებები					
1.1	თანასწორობა, სამოქალაქო ინტეგრაცია და სოციალური სამართლიანობა (ქალები, ბავშვები, უმცირესობები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები)	✓	✓	✗	✓	✓
1.2	სისხლის სამართალი/სამართლიანობის აღდგენა	✓	✓	✗	✗	✓
1.3	კანონის უზენაესობა და სამართალდაცვა	✓	✓	✗	✗	✗
1.4	საკუთრების უფლება	✓	✗	✗	✗	✗
1.5	სიტყვის, გამოხატვის და მედია თავისუფლება	✓	✗	✗	✗	✗
1.6	შეკრების თავისუფლება	✓	✗	✗	✗	✗
1.7	პირდი მონაცემებისა და პირადი ცხოვრების დაცვა	✓	✗	✗	✗	✗
1.8	ტრეფიკინგთან ბრძოლა	✓	✗	✗	✗	✗
2	ანგარიშვალდებულება					
2.1	პოლიტიკური ანგარიშვალდებულება	✗	✗	✓	✓	✗
2.2	ფინანსური ანგარიშვალდებულება	✗	✗	✓	✓	✗

¹⁶ ცხრილი მომზადდა ავტორის მიერ, მოცემული ხუთი პარტიის წინასაარჩევნო პროგრამების ანალიზზე დაყრდნობით. წინასაარჩევნო პროგრამები აღნიშნული პარტიების ოფიციალური ვებგვერდებიდან იქნა მოპოვებული.

2.3	საჯარო პასუხისმებლიანობის ხელშეწყობა	პირების	✗	✗	✗	✓	✗
2.4	სამოქალაქო განვითარება	საზოგადოების	✓	✗	✗	✗	✗
2.5	ხალხის ძალაუფლება ხალხს	მმართველობა,	✗	✗	✓	✓	✗
2.6	ოლიგარქიის აღმოფხვრა	✗	✗	✗	✓	✗	
3	პოლიტიკური სისტემა და ინსტიტუტები						
3.1	ძალაუფლების, მართლმსაჯულებისა და სასამართლოების დაყოფა	და	✓	✓	✗	✗	✓
3.2	პროცესურობის ოფისი		✓	✓	✗	✗	✗
3.3	შინაგან საქმეთა სამინისტრო (MIA) და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური		✓	✗	✗	✗	✗
3.4	სახალხო დამცველი		✓	✗	✗	✗	✗
3.5	ადგილობრივი ხელისუფლება		✓	✗	✗	✗	✗
3.6	საჯარო სერვისი		✓	✗	✗	✗	✗
3.7	პოლიტიკური სისტემა		✓	✗	✗	✓	✗
3.8	ამომრჩეველთა სისტემა და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები		✓	✗	✗	✓	✗

✓ – დაპირება წარმოდგენილია შესაბამისი პარტიის წინასაარჩევნო პროგრამაში

✗ – დაპირება არ არის წარმოდგენილი შესაბამისი პარტიის წინასაარჩევნო პროგრამაში

წინამდებარე ნაშრომისთვის გაანალიზებულ ხუთ წინასაარჩევნო პროგრამაში დემოკრატიასთან დაკავშირებული 22 სხვადასხვა პრიორიტეტია წარმოდგენილი; 22-დან 12 პრიორიტეტი ერთი პარტიის მიერ არის შემოთავაზებული. რაც იმას ნიშნავს, რომ, ხშირად, პარტიები მსგავს პრიორიტეტებს არ იზიარებენ. ასევე, არ არსებობს ისეთი ერთი პრიორიტეტი, რომელიც ყველა პროგრამაში არის მოხსენიებული. ასეთთან მიახლოებულია მხოლოდ ერთი – თანასწორობა, სამოქალაქო ინტეგრაცია და სოციალური სამართლიანობა (ქალები,

ბავშვები, უმცირესობები, შეუზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები), რომელიც ხუთიდან 4 პარტიის პროგრამაში არის წარმოდგენილი. შემდეგ კი მოდის სისხლის სამართლის ან სამართლიანობის აღდგენის, ძალაუფლების, მართლმსაჯულებისა და სასამართლოს გაყოფის მსგავსი პრიორიტეტი, რომელის სამი პარტიის პროგრამაშია მოცემული.

ასევე, განსხვავება შეინიშნება დიდ და პატარა პარტიებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ჩანს, „ქართული ოცნება“ ის ერთადერთი პარტიაა, რომელიც ცხრილ

1-ში ჩამოთვლილი პრიორიტეტების უმრავ-ლესობის მნიშვნელობას აღიარებს, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მათი წინასაარჩევნო პროგრამა ანგარიშვალდებულებასთან და-კავშირებულ საკითხებს არ მოიცავს. რო-გორც ჩანს, ანგარიშვალდებულების უზრუნ-ველყოფა არ წარმოადგენს პრიორიტეტს არც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“. „საქართველოს პატრიოტთა ალიან-სისა“ და „ლეიბლორისტული პარტიის“ მიერ გამოყოფილი საკითხები კი, ძირითადად, ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე არის ორიენტირებული. ეს მოვლენა, შესაძლოა, აიხსნას ფაქტით, რომ უფრო დიდი პარტიიები, რომელთაც არჩევ-ნების მოგების შანსი აქვთ, ანგარიშვალ-დებულების თემატიკით არ არიან დაინტერესებულნი. როგორც ჩანს, უფრო მეტად, ხელისუფლებაში მოსვლისას მათ გაუკონ-ტროლებელი ძალაუფლების სურვილი ამოძ-რავებთ. ამგვარად, შესაძლოა ვამტკიცოთ, რომ აღნიშნული პარტიიები დემოკრატიით, როგორც ასეთით, სრულყოფილად არ არი-

ან დაინტერესებულნი.

წინასაარჩევნო პროგრამების კონტენტ-ან-ალიზის ლიმიტაცია ის არის, რომ ის ამომ-რჩევლების მოსაზიდად არის შექმნილი და იმას სთავაზობს ამომრჩეველს, რაც მათ აინტერესებთ. ეს კი, შესაძლოა, ყოველთ-ვის დემოკრატიას არ უკავშირდებოდეს. თუმცა, პარტიის მანიფესტი, სხვადასხვა საკითხზე პარტიის პოზიციის შესახებ ინ-ფორმაციის მისაღების ერთ-ერთ უპირ-ველეს წყაროს წარმოადგენს. ამდენად, შესაძლოა ვამტკიცოთ, რომ იმის მიუხე-დავად, რომ დემოკრატია ყველა ქართუ-ლი პოლიტიკური პარტიის წინასაარჩევნო პროგრამაში არის წარმოდგენილი (თუმ-ცა, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ მთელ პროგრამაში მხოლოდ ერთხელ ახ-სენებს მას), როგორც ჩანს, პარტიიებს შო-რის კონსენსუსის ნაკლებობაა იმაზე, თუ რას წარმოადგენს დემოკრატია და როგორ უნდა მუშაობდეს ის. ეს კი საქართველოს ახალგაზრდა დემოკრატიის კონსოლიდაცი-ის პროცესს რისკის ქვეშ აყენებს.

დემოკრატიაზე კონსენსუსის ნაკლებობის შესაძლო შედეგები

საზოგადოებრივი აზრის კვლევებისა და წინასაარჩევნო პარტიული პროგრამების ანალიზის შედეგების მიხედვით შეიძლე-ბა დავასკვნათ, რომ დემოკრატიასა და დემოკრატიულ ღირებულებებზე კონსენ-სუსის ნაკლებობა არსებობს არა მხოლოდ საზოგადოებას, არამედ პოლიტიკურ პარ-ტიებს შორისაც. ეს ვითარება პრობლემუ-რია და დაუყონებლივ მოქმედებას მოითხ-ოვს. მისი დაძლევის გარეშე საქართველომ შესაძლოა მარტივად დაკარგოს მიღწეული დემოკრატიული პროგრესი, რომლის კონ-სოლიდორების პროცესიც ჯერ არ დას-რულებულა. საზოგადოების თითქმის ნახ-ევარი მზად არის მიჰყვეს, ან სულ მცირე,

არ შეეწინააღმდეგოს ავტორიტარულ ხე-ლისუფლებას, რაც იმას ნიშნავს, რომ თუკი პოლიტიკურ პარტიებს შორის ძა-ლაუფლების სასწორი მნიშვნელოვნად გა-დაიხრება ერთი რომელიმე აქტორისკენ, ეს აქტორი შესაძლოა ავტორიტარულ ლიდ-ერად ჩამოყალიბდეს.

კონსტიტუციური რეფორმის პროცესი გვაჩვენებს, თუ რატომ არის კონსენსუ-სის ნაკლებობა მნიშვნელოვანი [პრობლე-მა]¹⁷. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ისეთმა მნიშვნელოვანმა ცვლილებამ, როგორცაა პოლიტიკურ სისტემაში ცვლილებები და მოქალაქეებისთვის პრეზიდენტის არჩევის

¹⁷ იხ. Zurabashvili, T. 2017. "The end of direct presidential elections – the constitutional reform process in Georgia". [online] ხელმისაწვდომია: <http://gip.ge/6738/>

უფლების ჩამორთმევა, ვერ შეძლო ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოპოვება. ამგვარად, არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ქართველების უმრავლესობას სჯერა, რომ მნიშვნელობა არ აქვს ქვეყანა დემოკრატიულია თუ არა (იხილეთ გრაფიკი 1). კონსენსუსის მოპოვების მარცხი ისეთი ცხადი იყო, რომ მან ზოგიერთ ანალიტიკოსს უბიძგა ემტკიცებინა, რომ “პარლამენტმა, რომელსაც აღნიშნული რეფორმის მთელი პროცესი მიჰყავს, ვერ შეძლო პროცესში ყველა დაინტერესებული პოლიტიკური პარტიის ჩართვა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, პრეზიდენტის დარწმუნება რომ ამ ცვლილებების სამიზნე პირადად ის არ ყოფილა.”¹⁸ ასეთ სიტუაციას მხოლოდ ერთ შედეგამდე მივყავართ – არასტაბილური ინსტიტუტები, რომელიც დემოკრატიული კონსოლიდაციისთვის ბარიერს წარმოადგენს. სრულიად მოსალოდნელია, რომ აღნიშნული არაპოპულარული კონსტიტუცია ლიდერების ცვლილებასთან ერთად კიდევ ერთხელ ჩასწორდეს, რაც არასტაბილურობამდე და პიროვნებებზე დაფუძნებული რეზუმების ცვლილებამდე მიგვიყვანს და არა მის იდეალურ ვარიანტამდე. პოლიტიკური სისტემის მთავარ ინსტიტუტში ასეთი მაღალი დონის ცვალებადობა პოლიტიკურ დისკრეტობას გულისხმობს – სიტუაციას,

სადაც დემოკრატიზაციის ტრაექტორია „ამერიკული მთების“ პარაქციონის ემს-გავსება და სადაც ერთადერთი მუდმივი ტენდენცია პოლიტიკურ სისტემაში ცვლილებაა.

ჩნდება კითხვა, თუ რა ამოძრავებს საქართველოს დემოკრატიზაციას და მასზე ორი სავარაუდო პასუხია: პოლიტიკურ პარტიებს შორის ძალაუფლების მყიფე ბალანსი და/ან ევროკავშირის პირობითობის პოლიტიკა. თუმცა, თუკი საქართველოს დემოკრატიის კონსოლიდაციის მიღწევა სურს, ის არ უნდა ეფუძნებოდეს გაურკვევლობის ხარისხს, რომელიც შესაძლოა მარტივად და მოულოდნელად შეიცვალოს; ან - გარე ზეწოლას დემოკრატიზაციისთვის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ევროპეიზაციის პროცესში ყველა მნიშვნელოვანი და მოსალოდნელი მოკლევადიანი ჯილდო ამოინურა. ამდენად, საქართველოს პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა განავითარონ საქართველოს დემოკრატიის საერთო ხედვა და საზოგადოებასთან ახლოს იმუშაონ, რათა მის წევრებში დემოკრატიული ღირებულებები წაახალისონ. პარტიებსა და ამომრჩევლებს შორის ასეთი კონსენსუსი ქართული დემოკრატიის კონსოლიდაციისთვის სასურველ პირობებს შექმნიდა.

დასკვნა და რეკომენდაციები

თუკი დემოკრატიისადმი საზოგადოების სუსტ პრეფერენციას გავითვალისწინებთ, უკვე მიღწეული დემოკრატიული პროგრესის კონსოლიდაციისთვის საქართველოს ესაჭიროება ისეთი ადამიანები, რომლებსაც სჯერა დემოკრატიის მნიშვნელობის და შეუძლიათ მის მშენებლობაში პროაქტიული როლის შესრულება. ინსტიტუციური აქტორები, მაგალითად პოლიტიკური პარტიები, რომელთაც სჯერათ და დაინტერ-

ესებულნი არიან ქართული დემოკრატიის ფუნქციონირებით, დიდად შეუწყობდნენ ხელს ქართული პოლიტიკური სისტემის განვითარებას. საამისოდ, ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა, ევროკავშირმა და საერთაშორისო, ისევე, როგორც ადგილობრივმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა, შემდეგი რეკომენდაციები უნდა გაითვალისწინონ.

¹⁸ იქვე.

საქართველოს პოლიტიკური პარტიებისადმი

○ დემოკრატია მკაფიო პრიორიტეტად აქციონ და დემოკრატიულ ღირებულებებზე აილონ ვალდებულება – წინა-საარჩევნო პარტიული პროგრამების ანალიზიდან ჩანს, რომ საქართველოს პოლიტიკური პარტიები ყოველთვის არ აკეთებენ აქცენტს დემოკრატიული ღირებულებებისადმი საკუთარ ვალდებულებაზე. აგრეთვე, პატარა და დიდ პარტიებს შორის საარჩევნო პერიოდში გამოხატულ ღირებულებებს შორის ხვაობა შეინიშნება. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკურ სპექტრში არსებობდეს შეთანხმება საკითხზე, თუ რატომ არის საქართველოსთვის მნიშვნელოვანი მოახდინოს დემოკრატიული მიღწევების კონსოლიდაცია.

○ შიდა მამოძრავებელი ძალის მოქებნა, დემოკრატიული რეფორმებისათვის პი-ძგის მისაცემად – ევროკავშირის პირობითობის პოლიტიკის ამ გაურკვეველი ტრანზიციის პერიოდის დროს მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ მოახდინოს დემოკრატიული კონსოლიდაციისთვის შიდა მამოძრავებელი ძალის იდენტიფიცირება. რეფორმების დღის წესრიგი აუცილებლობით არ გულისხმობს რეფორმების იმპლემენტაციისთვის ქვეყნის გარე ძალის მიერ დაჯილდოებას („სტაფილოების“

მოწოდება). შესაბამისად, დემოკრატიული კონსოლიდაციის გაგრძელება გარედან მომდინარე პირობითობის გარეშეც აუცილებელია.

○ დემოკრატიის განხილვა, როგორც საკითხისა, რომელიც პოლიტიკურ შეჯიბრობითობაზე მაღლა დგას – თუკი დემოკრატიული რეფორმების წინსვლისთვის საჭირო შიდა მამოძრავებელი ძალის მონახვა მოხერხდება, საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს მმართველობის დემოკრატიული ფორმის მნიშვნელობაზე მყარი კონსენსუსის ჩამოყალიბება დასჭირდებათ. აღნიშნული, როგორც ეროვნული ინტერესის საკითხი, პოლიტიკურ შეჯიბრობითობაზე მაღლა უნდა იდგეს.

○ დემოკრატიული ღირებულებების წახალისების გაძლიერება საზოგადოებისთვის ფართო კონსენსუსის მისაღწევად – პარტიებისთვის მნიშვნელოვანი მხოლოდ დემოკრატიაზე კონსენსუსის მიღწევა არ უნდა იყოს. აქტიური მუშაობაა საჭირო ქართულ საზოგადოებაში დემოკრატიულ ღირებულებებზე ფართო კონსენსუსის ჩამოსაყალიბებლად. აღნიშნული მნიშვნელოვანია ქართველი ამომრჩევლებისათვის პოპულისტური დაპირებების მიცემასთან გასამკლავებლად.

ევროკავშირისთვის

○ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის დემოკრატიული რეფორმების მხარდასაჭერად ახალი ხედვის შექმნა – ასოცირების შესახებ შეთანხმებასა და ვიზალიბერალიზაციაზე ხელის მოწერის შემდეგ, საქართველო გაურკვეველ ვითარებაში იმყოფება,

რაც იმას ნიშნავს, რომ დემოკრატიული რეფორმებისადმი მხარდაჭერის შესანარჩუნებლად ახალი ხედვაა საჭირო. ეს გულისხმობს პირობითობის პოლიტიკის საშუალებით საქართველოსთვის ახალი ჯილდოების („სტაფილოების“) მიწოდების საჭიროებას,

რომელიც საქართველოს და მის მთავრობას ეროვავშირისთვის მიმზიდველ-სა და რეფორმების დღის წესრიგზე ორიენტირებულს და ანგარიშვალ-დებულს დატოვებს.

- დემოკრატიული ლირებულებების მხ-არდამჭერი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დახმარების გაძლიერება – დემოკრატიული რე-

ფორმების განსახორციელებლად, საჯარო პოლიტიკისა და სერვისების გასაუმჯობესებლად საქართველოს დახმარება სჭირდება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის არსებობა, რომელიც საზოგადოებასა და საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში დემოკრატიულ რეფორმებს წაახალისებს.

საქართველოში/საქართველოს თემატიკაზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის

- საჯარო საგანმანათლებლო კამპანიების ჩატარება იმაზე, თუ რას წარმოადგენს დემოკრატია და რატომ არის ის მნიშვნელოვანი საქართველოსთვის – პოლიტიკური აქტორების მცდელობების გარდა, მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმაც გაზარდონ აქტივობები და საზოგადოებას დემოკრატიის შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ. ზემოთ განხილული კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ქართული საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს არ მიაჩნია, რომ მმართველობის ფურმა მათ ცხოვრებაში რაიმე შესამჩნევ განსხვავებას იძლევა. პოლიტიკური რეზიმების მიმართ საზოგადოებაში არსებული ასეთი ინდიფერენტულობა შესაცვლელია.

○ პარტიათაშორისი საზედამხედველო ჯგუფის შექმნა, დემოკრატიის კონსოლიდაციაზე ერთიანი ხედვის შესაქმნელად – სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს პოტენციალი აქვთ, პოლიტიკურ პარტიებს საქართველოს დემოკრატიულ კონსოლიდაციაზე ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებაში დაეხმარონ. პარტიათაშორისი საზედამხედველო ჯგუფის ინიცირებას, რომელიც ასევე დაკომპლექტებული იქნება სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან, დემოკრატია-სა და დემოკრატიულ ლირებულებებზე პოლიტიკური კონსენსუსის შექმნა-სა და გაძლიერებაში წვლილის შეტანა შეუძლია. აღსანიშნავია, რომ ასეთი სახის პარტიათაშორისი ხედვა მკაფიო შეტყობინებას გაუგზავნის ამომრჩეველს, რომ დემოკრატია პოლიტიკურ შეჯიბრობითობაზე უფრო მაღლა დგას.

დაბრკოლება დემოკრატიანისტის:
დასავლეთის გამოცდილების
მნიშვნელობა რესერვის სტრატეგიის
ანალიზის პროცესში

03.06.2024 მაჩიტიძე

მოკლე შინაარსი

დემოკრატიის ხელშეწყობა და დემოკრატიული კონსოლიდაცია უკვე დიდი ხანია იმ ქვეყნების დევიზად იქცა, რომელთაც სურთ თავისუფალი საზოგადოების მქონე წარმატებულ სახელმწიფოებად განიხილებოდნენ. დასავლეთი, როგორც ამ პროცესების მამოძრავებელი ძალა, სათანადოდ ვერ აფასებს დემოკრატიზაციის ხელშეწყობის თანმხლებ რისკს, რაც პირდაპირი ბენეფიციარების დახმარების ნაცვლად, დემოკრატიზაციის მონაპოვარის საზიანო მიზნებისთვის გამოყენებას გულისხმობს, რის ფონზეც, დემოკრატიზაციის პროცესი გარე აქტორებისთვის „შესაძლებლობების ფანჯარას“ ხსნის და პოლიტიკური პარტიების და სამოქალაქო საზოგადოების გამოყენებით, მათ სხვა ქვეყნის შიდაპოლიტიკურ პროცესებში ჩარევის შესაძლებლობას აძლევს. ამასთან, თავისუფალი მედია იმ აქტორების პოპულარიზაციისთვისაა გამოყენებული, რომლებსაც საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენა შეუძლიათ.

ამ პროცესში მნიშვნელოვანია ავტორიტარული რეჟიმების, განსაკუთრებით კი, რუსეთის როლი. 2007 წლის მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის შემდეგ გაძლიერდა კრემლის ხისტი ძალის რიტორიკა, რომელიც საზღვარგარეთ მცხოვრები ეთნიკურად რუსი მოსახლეობის ინტერესების დაცვის სტრატეგიასა და რუსული კულტურისა და ისტორიის აქტიურ პოპულარიზაციას ეფუძნება. მოსკოვი ცდილობს გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე ისეთი მოთხოვნების წამოყენებით, როგორიცაა ევროპული და რუსული ლირებულებების თანასწორ სიბრტყეში მოაზრება და სირიაში მიმდინარე მოვლენებისა და ტერორიზმის მსგავსი, კომპლექსური

საერთაშორისო საკითხების მოგვარებაში რუსეთის როლის მნიშვნელობა. საკუთარი ნორმატიული ძალის სისუსტის გამო, კრემლი ცდილობს დასავლური დემოკრატიის ნაკლოვანებების დემონსტრირებას იმისათვის, რომ მისი ახლო სამეზობლო დემოკრატიზაციის გზას ჩამოაშოროს. ამასთან, რუსეთი აქტიურად იყენებს დემოკრატიული ხელისუფლების მიმართ საზოგადოების ნდობის შემცირების სტრატეგიას, რაც დასავლურ საზოგადოებაში ლიბერალური ლირებულებების კრიტიკისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის. დემოკრატიული კონსოლიდაციის ამგვარი დისკრედიტაცია, შესაძლოა, მნიშვნელოვანი შედეგის მომტანი იყოს მყიფე დემოკრატიებისთვის, რადგან ეს პროცესი რისკის ქვეშ აყენებს დემოკრატიული მმართველობისა და დემოკრატიული ლირებულებების ლეგიტიმურობას.

აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტი, ყურადღებას ამახვილებს რუსეთის სტრატეგიის ანალიზის პროცესში დასავლეთის გამოცდილების მნიშვნელობაზე. რუსული ტაქტიკა საზოგადოებაში არსებული უკამაყოფილების საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებას გულისხმობს, ასევე, შიდა დაპირისპირების გამზვავებას და იმ სამოქალაქო საზოგადოების აქტორთა ხელშეწყობას, რომლებიც, შესაძლოა, არ იყვნენ პრო-რუსულად განწყობილნი, თუმცა ჰქონდეთ არალიბერალური და რადიკალური შეხედულებები. დოკუმენტში წარმოდგენილია რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისთვის, პოლიტიკოსებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის საქართველოს დემოკრატიული კონსოლიდაციის წინააღმდეგ მიმართულ რუსულ საფრთხეზე ეფექტურად საპასუხოდ.

¹ ივანნა მაჩიტიძე – შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

შესავალი

ათი წლის წინ, დემოკრატიზაციის მკვლევარმა, პიტერ ბარნელმა, დასვა მნიშვნელოვანი შეკითხვა – „მუშაობს დემოკრატიის ხელშეწყობა?“². დღეს ეს შეკითხვა უფრო აქტუალური გახდა, რადგან დემოკრატიის ხელშეწყობაში ჩადებული უზარმაზარი ინვესტიციების მიუხედავად, ყოფილი კომუნისტური ბლოკის ქვეყნებში არალიბერალური დემოკრატიისა და დემოკრატიის უკუსვლის შემთხვევები გახშირდა, რამაც კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენა დასავლეთის რწმენა გაწეული დახმარების უპირობო წარმატების შესახებ³.

დემოკრატიის წინააღმდეგ დაწყებული ახალი ტენდენცია ავტოკრატიული რეჟიმებისთვის მისასალმებელი აღმოჩნდა და დემოკრატიზაციის გზაზე მდგარი საზოგადოებისთვის მისაღები ღირებულებების ნაკლებობის გამო, ერთგვარ „შესაძლებლობის ფანჯარად“ იქცა. აღსანიშნავია რუსეთი, რომელიც დემოკრატიული მმართველობის ხარვეზების იდენტიფიცირების ამოცანას საუკეთესოდ ართმევს თავს. ამასთან, მან წარმატებით შეძლო დასავლეთისგან დემოკრატიის ხელშეწყობის ტექნიკის გადმოღება, რასაც კონსოლიდირებული და ჯერ კიდევ კონსოლიდაციის პროცესში მყოფი დემოკრატიული სახელმწიფოების წინააღმდეგ იყენებს. საკუთარი ზეგავლენის გასავრცელებლად, კრემლი

კულტურულ რიტორიკაზე აქცენტით, აშშ-ის განვითარებულ, რბილ ძალას იყენებს. ამასთან, დასავლეთის მხრიდან დემოკრატიულ მმართველობასა და კანონის უზენაესობაზე აქცენტებს, წესრიგისა და სტაბილურობის აუცილებლობით ანაცვლებს და „მთლიანი მოსახლეობის“ მიმართ ანგარიშვალდებულების სანაცვლოდ „მხარდამჭერი უმრავლესობის“ მიმართ ანგარიშვალდებულებაზე ახდენს ფოკუსირებას.⁴ ამგვარად, რუსეთი რეგიონში სტრატეგიული ინტერესებისა და არსებული სტატუს ქვეშ წინააღმდეგ მიმართულ საფრთხეებს პასუხობს⁵.

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია გააანალიზოს კრემლის მიერ დასავლეთში დემოკრატიული სახელმწიფოების დესტაბილიზაციისა და დანაწევრების მიზნით გამოყენებული ინსტრუმენტები. მიმოიხილოს საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესის შიდასახელმწიფოებრივი და საგარეო განზომილებები და რუსეთის როლი საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესში. ამასთან, წარმოადგინოს რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის ქვეყანაში არსებული დემოკრატიული მიღწევების შენარჩუნებისა და რუსეთის ზეგავლენის შემცირებისთვის.

² Peter Burnell(2007) "Does international democracy promotion work?", Deutsches Institut für Entwicklungspolitik, ISBN 978-3-88985-354-7, წვდომის თარიღი 2 მარტი, 2018, ხელმისაწვდომია - <http://edoc.vifapol.de/opus/volltexte/2011/3094/pdf/BurnellPromotionWork.pdf>

³ დემოკრატიული პროცესების შესუსტების ფონზე გარდამტები აღმოჩნდა 2017 წელი, როდესაც უნგრეთი – კომუნიზმის ჯაჭვის გამრღვევი პირველი სახელმწიფო, კვლავ პირველი აღმოჩნდა, მხოლოდ ამჯერად დემოკრატიულობის ხარისხის შესუსტებით და ნახევრად-კონსოლიდირებული დემოკრატიის სტატუსის მოპოვებით. სავარაუდოდ შემდგენი პოლონეთი დაადგება უნგრეთის მიერ არჩეულ გზას.

⁴ CBSN (2018). Charlie Rose Interviews Vladimir Putin. [ვიდეო], წვდომის თარიღი 1 მარტი, 2018, ხელმისაწვდომია - <https://www.youtube.com/watch?v=r8k2pWbCjrw>

⁵ 2012 წლის გავლენიან ნაშრომში „რუსეთი ცვალებად მსოფლიოში“, პუტინმა განაცხადა: „მე შემეძლო ამ საკითხისთვის [ევროპაში თავდაცვითი სისტემების განლაგების გეგმებზე] ყურადღება არ მიმექცია, რუსეთის საზღვრებთან დასავლეთის სიახლოვე რომ არა, რაც ძირს უთხრის ჩვენს უსაფრთხოებას და საფრთხის ქვეშ აყენებს მსოფლიოს სტაბილურობას“.

დასავლეთისგან დასესხება, დასავლეთის წინააღმდეგ გამოყენება

ათი წლის წინ, კრემლმა რბილი ძალის გავრცელებისა და ქვეყანაში წესრიგისა და სტაბილურობის შექმნის მისეული გამოცდილების გაზიარების სტრატეგია შეიმუშავა. ამ გზით, რუსეთმა მოახერხა დემოკრატიის ხელშეწყობის დასავლეთის მიდგომის საკუთარ საჭიროებებზე მორგება, მსოფლიოს მასშტაბით „რბილი ძალის აგენტების“ გამოყენებით. რუსეთის სტრატეგია მრავალნახნაგოვანია და ეფუძნება რესურსების ფართო სპექტრს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

2007 წლის შემდეგ, საზღვარგარეთ მცხოვრები ეთნიკურად რუსი მოსახლეობის ინტერესების დაცვისა და გაძლიერებისთვის, მნიშვნელოვანი რესურსი დაიხარჯა. მსოფლიოს მასშტაბით რუსეთის რბილი ძალის გავრცელება რუსული სამყაროს (*Russkiy Mir*) ქოლგა ორგანიზაციებისა და მასთან აფილირებული სააგენტოების საშუალებით, რუსეთის პრეზიდენტ-ვლადიმერ პუტინის პირადი ხელმძღვანელობით ხდება. ამასთან, დასავლეთის პოლიტიკურ პარტიებსა და მათ რუს კოლეგებს შორის თანამშრომლობა უკვე კარგად დამკვიდრებულ პრაქტიკად იქცა, რამაც ხელი შეუწყო ევროპის ულტრა-მემარჯვენე და ულტრა-მემარცხენე პარტიების გაძლიერებას⁶. დაბოლოს, კიბერ თავდასხმები აშშ-სა და ევროპის ეროვნულ და ადგილობრივ არჩევნებზე ზემოქმედების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გახდა⁷. ალ-

ნიშნული ტენდენციები, საქართველოს მთავრობისთვის და სამოქალაქო საზოგადოებისთვის, დასავლეთში რუსეთის ქმედებებზე დაკვირვების აუცილებლობაზე მიუთითებს. თუ, საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების გზით, კონსოლიდირებული დემოკრატიების შიდა სტაბილურობას საფრთხე უკვე შეექმნა და მმართველი ინსტიტუტების მიმართ საზოგადოებაში უნდობლობის გრძნობა უკვე გააჩინა, ყოფილი საბჭოთა კავშირის სუსტი დემოკრატიული სახელმწიფოები გაცილებით მარტივად აღმოჩნდებიან რუსული ზეგავლენის მსხვერპლი.

საქართველოში რუსეთის მიერ გამოყენებული სტრატეგიის გასააზრებლად, აუცილებელია ქვეყნის შიდაპოლიტიკური და საგარეო კონტექსტის ანალიზი. შიდაპოლიტიკურ კონტექსტში, დემოკრატიული მმართველობის ინდექსის გაუმჯობესების მიუხედავად, საქართველოს მოქმედი მთავრობა დემოკრატიული ღირებულებების მხარდაჭერის შესუსტების გამო უკვე იქცა კრიტიკის ობიექტად. მაგალითად, მმართველმა პარტიამ საპარლამენტო უმრავლესობა უკვე გამოიყენა ისეთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებების დასაჩქარებლად, როგორიც საკონსტიტუციო რეფორმაა⁸. ამასთან, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დადებითად შეფასების მიუხედავად, არჩევნების პროცესში არაერთი პროცედურული დარღვევა დაფიქსირდა⁹.

⁶How Putin meddles in Western democracies. (2018). The Economist. [ელექტრონული რესურსი], წვდომის თარიღი 7 მარტი, 2018, ხელმისაწვდომია – <https://www.economist.com/news/leaders/21737276-and-why-west-s-response-inadequate-how-putin-meddles-western-democracies?cid1=cust%2Fnew%2Fn%2Fb1%2Fn%2F20180222n%2Fowned%2Fn%2Fn%2Fnw1%2Fn%2Fn%2FNA%2F100666%2Fn>

⁷ USA TODAY. (2017). Russia engineered election hacks and meddling in Europe. [ელექტრონული რესურსი], წვდომის თარიღი 1 მარტი, 2018, ხელმისაწვდომია - ჰაქტერის მიერ გამოიყენებული რესურსი, წვდომის თარიღი 2017/01/09/რუსია-ენგინერებ-ელექტრონული რესურსი/96216556/.

⁸ Freedom House – Nations in Transit (2017). Georgia. [ელექტრონული რესურსი], წვდომის თარიღი 25 ოქტომბერვალი, 2018, ხელმისაწვდომია – <https://freedomhouse.org/report/nations-transit/2017/georgia>

⁹ OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (2017) OSCE/ODIHR final report on Georgia's parliamentary elections recommends thorough review of legislation, including removing loopholes for misuse of state resources. [ელექტრონული რესურსი], წვდომის თარიღი 15 მარტი, 2018, ხელმისაწვდომია – <https://www.osce.org/odihr/elections/georgia/297546>

რამდენიმე მიმართულება ჯერ კიდევ საჭიროებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, მათ შორის, სასამართლო რეფორმა და „სამართლიანობის აღდგენის“ ცნება. აღსანიშნავია, რომ რეზონანსული აღმოჩნდა არაერთი სხვა ინციდენტი, მათ შორის აზერბაიჯანელი უურნალისტის, აფეთქება და თავისუფალი მედიის საქმიანობაში ჩარევის არაერთი ფაქტი (წამყვანი ოპოზიციური მაუწყებლობის – რუსთავი ორის ჩამორთმევის მცდელობა). სანამ ხელისუფლება ამ გამოწვევებს სრულად არ უპასუხებს, ის, შესაძლოა, საზოგადოების მხრიდან ნდობის შემცირებისა და „უნგრეთისა და პოლონეთის სცენარის“¹⁰ მსგავსად, არალიბერალურ დემოკრატიად ქცევის საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს.

საგარეო კონტექსტში, საქართველო ცდოლობს დააბალანსოს ერთი მხრივ, ევროკავშირთან გაღრმავებული თანამშრომლობა და განევრიანების პერსპექტივა და მეორე მხრივ, რუსეთთან „ნორმალიზებული დიალოგის“ ფარგლებში დაწყებული პრაგმატული პოლიტიკა. თუმცა, რუსეთის მხრიდან, ურთიერთობის გაუმჯობესებისთვის მზადყოფნა არ ჩანს; რუსეთი აგრძელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარებისა და ბორდერიზაციის პოლიტიკას¹¹. რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების მცდელო-

ბით, საქართველოს მთავრობა რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა, რადგან უწევს ბალანსის დაცვა ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მყოფ ევროპულ მისწრაფებებს, რუსეთთან დიალოგსა და საზოგადოებრივ აზრს შორის. ამასთან, რუსეთის მხრიდან აღმოსავლეთ უკრაინაში წარმოებული ჰიბრიდული ომი, შესაძლოა, მისთვის საქართველოზე ზემოქმედების ბერკეტს არაპირდაპირ ზრდიდეს და ქვეყნის შიგნით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვის შიშს აძლიერებდეს. მოსკოვს თბილისის წინააღმდეგ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ბერკეტი გააჩნია: ის ქვეყნისთვის, თურქეთის შემდეგ მეორე, ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორი¹² და ტურისტული ნაკადის მხრივ, მეოთხე ყველაზე დიდი ქვეყანაა¹³.

რუსეთის მხრიდან საქართველოზე ზემოქმედების ბერკეტებისა და ორ ქვეყანას შორის არსებული კავშირების გააზრებასთან ერთად, მნიშვნელოვანია მიმდინარე პროცესებში თბილისის როლის აღნიშვაც. რადგან კრემლი პროდასავლური ორიენტაციის საქართველოს ახლო სამეზობლოში მისი ინტერესებისთვის საფრთხის შემცველად აღიქვამს¹⁴, საქართველოს მმართველელიტაზეა დამოკიდებული ის, თუ რამდენად მისცემს რუსეთს ქვეყანაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობას.

¹⁰ Human Rights Watch (2017) Georgia/Azerbaijan: Journalist Kidnapped Across Border. [ელექტრონული რესურსი], წვდომის თარიღი 18 მარტი, 2018, ხელმისაწვდომია – <https://www.hrw.org/news/2017/05/31/georgia-azerbaijan-journalist-kidnapped-across-border>; Human Rights Watch (2017) Georgia: Media Freedom at Risk

Possible Government Interference with Judiciary, Media. [ელექტრონული რესურსი], წვდომის თარიღი 18 მარტი, 2018, ხელმისაწვდომია – <https://www.hrw.org/news/2017/03/07/georgia-media-freedom-risk>

¹¹ Kakachia, K., Kakhishvili, L., Larsen, J. and Grigalashvili, M. (2017). Mitigating Russia's Borderization of Georgia: A Strategy to Contain and Engage. [ელექტრონული რესურსი] Tbilisi: Georgian Institute of Politics, წვდომის თარიღი 09 მარტი, 2018, ხელმისაწვდომია – <http://gip.ge/mitigating-russias-borderization-georgia-strategy-contain-engage/>

¹² Civil.ge. (2018). Georgia's Foreign Trade in 2017. [ელექტრონული რესურსი], წვდომის თარიღი 01 მარტი, 2018, ხელმისაწვდომია – <http://www.civil.ge/eng/article.php?id=30809>

¹³ Georgian National Tourism Administration. (2018). Inbound Tourism. [ელექტრონული რესურსი], წვდომის თარიღი 26 თებერვალი, 2108, ხელმისაწვდომია: <http://stats.gnta.ge/Default.aspx>

¹⁴ ტერმინი „ახლო სამეზობლო“ რუსეთის მიერ გამოყენებული სახელნოდებაა ყოფილი საბჭოთა კავშირის თოთხმეტი ქვეყნის აღსანიშნად.

რა განაპირობებს საქართველოს დემოკრატიის მოცყვლადობას რუსეთის ჩარევის პირისათვის

„შესაძლებლობების ფანჯარა“ პირდაპირი და არაპირდაპირი ზეგავლენის მოსახლეობა

რუსეთის მხრიდან საქართველოში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებზე ზეგავლენის დინამიკა აჩვენებს, რომ რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ, დასავლეთის კონსოლიდირებულ დემოკრატიულ ქვეყნებში გამოყენებულ მეთოდებს მიმართავს. თუმცა რუსეთის ზეგავლენის ეფექტურობის ასახსნელად, მნიშვნელოვანია საქართველოს შიდაპოლიტიკური სპეციფიკის განალიზება.

საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტები. კავკასიის ბარომეტრის ყოველწლიური მონაცემების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობისთვის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები პრიორიტეტულ საკითხებს შორის ხვდება¹⁵. ამასთან, გამოკითხული რესპონდენტებისთვის, ევროკავშირის ბაზართან წვდომაზე (82%), გაუმჯობესებულ ჯანდაცვასა (80%) და გაუმჯობესებულ უსაფრთხოებაზე (76%) არსებული მოლოდინები, ევროკავშირთან ასოცირებით მიღებულ სარგებელთან დაკავშირებით ყველაზე მნიშვნელოვან მოლოდინებად დასახელდა¹⁶. საქართველოსთვის, დემოკრატიული კონსოლიდაციის პროცესში, დასავლეთისა და ევროკავშირის მხარდაჭერა გადამწყვეტია. შესაბამისად, რუსეთის სტრატეგია ახლო სამეზობლოში, განსაკუთრებით კი უკრაინაში, საქართველოსა და მოლდოვაში, ევროკავშირში

ინტეგრაციის გზის დისკურსიტაციაა. ამ კონტექსტში, იდეამ, რომ მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში ევროკავშირთან გაღრმავებული თანამშრომლობა ხელს არ უწყობს ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესებას, შესაძლოა საზოგადოებაში უკმაყოფილება გამოიწვიოს და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გათვალისწინებით, პოტენციურ ამომრჩევლებს ანტიდასავლური, არსებული კურსის საწინააღმდეგო რიტორიკის მხარდაჭერისკენ უბიძგოს. სწორედ მსგავსი გათვლები დაეხმარა ულტრა-მემარჯვენე ევროსკეპტიკოს „ხუთი ვარსკვლავის მოძრაობასა“ (Five Star Movement) და „ჩრდილოეთის ლიგას“ (Lega Nord) იტალიის საპარლამენტო არჩევნებში¹⁷.

გავლენა დემოკრატიზაციის პროცესზე. საქართველოს მოქალაქეების დიდი ნაწილისთვის ევროკავშირში ინტეგრაციასთან დაკავშირებული მოლოდინები სოციალური და ეკონომიკური ხასიათისაა. რუსეთი ცდილობს წარმოჩნდეს, როგორც ეკონომიკური კეთილდღეობისა და სტაბილურობის გარანტი ქვეყანა; ევროკავშირთან დაკავშირებული ცხოვრების უკეთესი სტანდარტის მოლოდინების გაქარწყლებით, შესაუსტოს ევროკავშირის მიმზიდველობა და აქცენტი გადაიტანოს ევროპის მრავალფეროვნებასა და ქართული უნიკალური კულტურის

¹⁵ Caucasus Research Resource Centers. (2017) “[IMPISS1 – Most Important Issue Facing the Country - Caucasus Barometer]”, წვდომის თარიღი 03 მარტი, 2018, ხელმისაწვდომია – <http://caucasusbarometer.org>

¹⁶ The Caucasus Research Resource Centers. (2017) “Knowledge of and attitudes toward the EU in Georgia” [EUAMIGPS: EU Association Agreement will Improve Sale of Georgian Products on the EU Market], წვდომის თარიღი 28 მარტი, 2018 ხელმისაწვდომია – <http://caucasusbarometer.org>


¹⁷ Donadio, R. (2018). The Italian Implosion. [ელექტრონული რესურსი] The Atlantic, Accessed on 10.03.2018, Available at - <https://www.theatlantic.com/international/archive/2018/03/italy-elections-five-star-league/554990/>

წინაშე მდგარ საფრთხეზე. კრემლის მიზანია, საქართველოს პროდასავლური ორიენტაციის საზოგადოებრივი მხარდაჭერის შესუსტება, რაც, შესაძლოა, მთავრობის საქმიანობის მიმართ ამომრჩეველთა ნდობის დაკარგვაში გამოიხატოს და ხელი შეუშალოს საქართველოში დემოკრატიზაციის პროცესს.

ეთნიკური უმცირესობები. ეთნიკურად რუსი მოსახლეობა საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 1%-ს შეადგენს, რაც კრემლს ხელს უშლის ლეგიტიმური მიზეზით ქვეყნის შიდა პოლიტიკურ პროცესებში ჩაერიოს. საზოგადოებრივი აზრის კვლევების მიხედვით, საქართველოს ეთნიკური უმცირების

წარმომადგენლები ნაკლებად უჭერენ მხარს ქვეყნის პროდასავლურ კურსს – ეს კი ის ბერკეტია, რომელიც, შესაძლოა, რუსეთმა საზოგადოებაში განხეთქილების წარმოქმნის მიზნით გამოიყენოს. 2017 წლის ეროვნულ-დომოკურატიული ინსტიტუტის (NDI) მონაცემების მიხედვით, საზოგადოებრივ დამოკიდებულებაში რამდენიმე ტენდენცია გამოიკვეთა: პირველი, შეინიშნებოდა მნიშვნელოვანი სხვაობა ევროკავშირსა და ევრაზიულ კავშირში განევრიანების პერსპექტივის კუთხით. უფრო კონკრეტულად კი გამოკითხვაში ევრაზიულ კავშირში განევრიანების მომხრეებს შორის 56% ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, 26% კი ეთნიკურად ქართველი იყო¹⁸.

გრაფიკი 1. საზოგადოების განწყობა საქართველოს ევროკავშირსა და ევრაზიულ კავშირში განევრიანებსთან დაკავშირებით ეთნიკურ ქართველებსა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის



უფრო მეტიც, რუსეთის პირველი არხი (ORT), რუსული პროპაგანდის მთავარი იარაღი ეთნიკურ უმცირესობებს შორის, ყველაზე სანდო ინფორმაციის წყაროდ ითვლება¹⁹.

საქართველოში ეთნიკურ უმცირესობებს უჭირთ ფართო საზოგადოებაში ინტეგრაცია, რაც, ნაწილობრივ, განპირობებულია ქართული ენის არცოდნით და გამოიხატება

¹⁸ The Caucasus Research Resource Centers. (2017) “[EUVSEURU: Georgia should join the Eurasian Union vs. Georgia should join the EU by ETHNOCODE: Ethnicity (%)]”, წვდომის თარიღი 01 მარტი, 2018, ხელმისაწვდომია – <http://caucasusbarometer.org>.

¹⁹ The Caucasus Research Resource Centers. (2017) “[TRURCH1: TV Channels you trust the most for accurate information – Russia Channel One (1 КаналOPT) by ETHNOCODE: Ethnicity (%)]”, წვდომის თარიღი 01 მარტი, 2018, ხელმისაწვდომია – <http://caucasusbarometer.org>.

დაბალ სამოქალაქო და პოლიტიკურ ჩართულობაში²⁰. საინტერესოა, რომ იმ ეთნიკური უმცირესობებიდან, ვინც ეთანხმება აზრს, რომ რუსული პროპაგანდა ნამდვილად მოქმედებს, 17% მიიჩნევს რომ პროპაგანდა ვრცელდება მეზობლების ან მეგობრების წრეში, ეთნიკურად ქართველი რესპონდენტების 2%-იან მაჩვენებელთან შედარებით²¹.

გავლენა დემოკრატიზაციის პროცესზე. ეთნიკურ უმცირესობებსა და ეთნიკურ ქართველებს შორის დემოკრატიისა და პროდასავლური კურსისადმი განსხვავებული დამოკიდებულებები რუსეთისთვის საზოგადოების პოლარიზაციისთვის კარგ საფუძველს ქმნის. ეთნიკური უმცირესობების ჩართვის გარეშე, დემოკრატიზაციის პროცესი წარმატებული ვერ იქნება. ამ ეტაპზე, საზოგადოებრივი კავშირებისა და მედიის ეფექტური ფუნქციონირების ფონზე, რუსეთისთვის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში აღტერნატიული რეალობის შექმნა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს.

მართლმადიდებლური ეკლესია. 2013 წელს, ყოველწლიურ კონფერენციაზე ვლადიმერ პუტინმა განაცხადა: „ჩემი მიდგომა ქართველებისადმი არ შეცვლილა – ის იყო კეთილგანწყობილი და ასეთად დარჩა. უფრო მეტიც, რუსეთის მიმართ ასეთი დამოკიდებულება დადასტურდა ქართველების მხრიდანაც [...] ჩვენ ღრმა კულტურული და სულიერი კავშირები გვაერთიანებს...“²².

დემოკრატიებში და დემოკრატიის გზაზე მდგომ საზოგადოებებში მთავრობის ინსტიტუციის მიმართ ნდობა, ხელისუფლების პოლიტიკის მხარდაჭერის გამოხატვის უპირველესი ინდიკატორია. სახელისუფლებო ინსტიტუციების მიმართ არსებული ნდობის დაბალი ხარისხი, არჩევნებზე ამომრჩეველთა დაბალ აქტივობასა და რადიკალური პარტიების მომძლავრებას განაპირობებს.

Pew Research Center-ის მონაცემების მიხედვით, ქართველები ეროვნულ იდენტობას მჭიდროდ უკავშირებენ მართლმადიდებლობას²³. საქართველო საბერძნეთის შემდეგ მეორე ქვეყანაა, სადაც გამოკითხულთა უმრავლესობას საკუთარი კულტურა მიაჩნია, როგორც „არასრულყოფილი, მაგრამ სხვებზე უპირატესი“ (საქართველოში რესპონდენტების 85%, საბერძნეთში - 89%)²⁴. კულტურული და რელიგიური კუთვნილების კულტურულ უპირატესობასთან დაკავშირება, გასწაკუთრებით, თუ ამგვარი მოწოდება ეკლესიისგან მოდის, რუსეთისთვის ნოუიერ ნიადაგს ქმნის. პოლონეთი, უნგრეთი და სლოვაკეთი საქართველოს მსგავსი, ევროკავშირის ის წევრი ქვეყნები არიან, სადაც ევროპის მიმართ ოპტიმისტური განწყობა ევროსკეპტიციიზმით შეიცვალა. თუმცა, მართლმადიდებელ სახელმწიფოებს შორის, საქართველოში დაბალია იმ ადამიანთა რიცხვი, რომელიც ფიქრობს, რომ ძლიერი რუსეთი დასავლეთთან დასაპირისპირებლად აუცილებელია (იხილეთ გრაფიკი 2).

²⁰ Democracy & Freedom Watch Staff (2018). კვლევამ უმცირესობების პრობლემები გამოავლინა. [ელექტრონული რესურსი] Democracy & Freedom Watch. წვდომის თარიღი 22 თებერვალი, 2018, ხელმისაწვდომია – <https://goo.gl/QCDNkn>

²¹ იქვე.

²² ГОЛОС АМЕРИКИ [Voice of America]. (2013). Владимир Путин: «У меня самое добroе отношение к грузинскому народу» [Vladimir Putin: “I experience the kindest attitude towards the Georgian nation”]. [ელექტრონული რესურსი], წვდომის თარიღი 24 თებერვალი, 2018, ხელმისაწვდომია – <https://www.gолос-америки.ru/a/geor-russia/1814444.html>

²³ Religious Belief and National Belonging in Central and Eastern Europe (2017). Religion & Public Life. [ელექტრონული რესურსი] Pew Research Center წვდომის თარიღი 05 მარტი, 2018, ხელმისაწვდომია – <http://www.pewforum.org/2017/05/10/religious-belief-and-national-belonging-in-central-and-eastern-europe/>

²⁴ იქვე.

გავლენა დემოკრატიზაციის პროცესზე. ქართველებსა და რუსებს შორის სულიერი კავშირი, საქართველოში კრემლის რბილი ძალის სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს. რუსეთი საკუთარ თავს მსოფლიოში მართლმადიდებლობის დამცველის როლში ხედავს. საქართველოს


მართლმადიდებლური ეკლესია ის კონსერვატორული ძალა, რომელიც მოსახლეობაში ევროსკეპტიკური განწყობების გაღვივებას უწყობს ხელს. მოსახლეობის დიდ ნაწილს კი მიაჩნია, რომ საქართველოს პროდასავლური ორიენტაცია საქართველოს უნიკალურ იდენტობას ემუქრება.

გრაფიკი 2. მართლმადიდებლურ ქვეყნებში იმ რესპონდენტების წილი, რომლებიც სრულად ან ნაწილობრივ ეთანხმებიან აზრს, რომ რუსეთი მნიშვნელოვანია დასავლეთთან დასაპირისპირებლად


Majorities in Orthodox countries look to Russia to counter the West

% who completely or mostly agree with the statement, "A strong Russia is necessary to balance the influence of the West"


Median results of surveyed countries



Among those in Orthodox-majority countries




Among those in Catholic-majority countries



Among those in religiously mixed countries



Among those in majority religiously unaffiliated countries



Source: Survey conducted June 2015-July 2016 in 18 countries.

See Methodology for details.

*Religious Belief and National Belonging in Central and Eastern Europe"

PEW RESEARCH CENTER

რუსეთის ორგანიზაციული ქსელი. კრემლი საბჭოთა კავშირის დაშლას მე-20 საუკუნის უდიდეს ტრაგედიად აფასებს, რის შედეგადაც 25 მილიონი რუსი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოექცა. პუტინის განცხადებით, „თუკი ეს თქვენთვის პრობლემა არ არის, ეს არის პრობლემა ჩემთვის“²⁵. რუსეთმა „რბილი ძალის იარაღის“ დახვეწილი ქსელი სახელმწიფოს მიერ კონტროლირებული არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნით განავითარა. რუსული სამყარო (Russkiy Mir Foundation) რუსული ენისა და კულტურის წახალისებისთვის; „Rossotrudnichestvo“ (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფედერალური სააგენტო, თანამემაულები საზღვრებს მიღმა და საერთაშორისო პუმანიტარული თანამშრომლობა), რომლის მიზნებიც მოიცავს საერთაშორისო განვითარების ხელშეწყობას და საზღვარგარეთ რუსული კულტურის პოპულარიზაციას; „საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულების უფლებების დაცვისა და დახმარების ფონდი“; „გორჩაკოვის ფონდი“; „WARP ფონდი საზღვარგარეთ რუსულენოვან მედიასთან თანამშრომლობისთვის. საინტერესოა, რომ რუსეთის ინტერესების გამტარებელი ეს უდიდესი ორგანიზაციები 2007-2011 წლებში შეიქმნა.

„გორჩაკოვის ფონდს“ თბილისში ოფიციალური წარმომადგენლობა ჰყავს და ცნობილია, როგორც „ევგენი პრიმაკოვის სახელობის რუსულ-ქართული საზოგადოებრივი ცენტრი“, სადაც იმართება დებატები რუ-

სულ-ქართულ ურთიერთობებზე და დიალოგი ორ ქვეყანას შორის არსებულ ტერიტორიულ კონფლიქტსა და სხვა საკითხებზე. ახლახან, ცენტრის ორგანიზებით მოეწყო საჯარო ლექცია ყოფილი ქართველო საჯარო მოხელეების მონაწილეობით²⁶. „საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულების უფლებების დაცვისა და დახმარების ფონდი“ საქართველოში წარმოდგენილია პარტნიორი ორგანიზაციით – რუსი თანამემამულების ორიდიული დახმარების ცენტრი²⁷. „Rossotrudnichestvo“-ს ორი ოფიციალური წარმომადგენლობა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, სოხუმსა და ცხინვალში რუსეთის საზოგადოებრივი და კულტურული ცენტრის სახით ფუნქციონირებს²⁸. მსოფლიო მასშტაბით, რუსული რბილი ძალის გავრცელების უმთავრესი საშუალება „რუსული სამყაროს“ (“Russkiy Mir”) ამბიციური ინიციატივაა, რომელიც მსოფლიო რუსული კულტურის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

„Russkiy Mir“-ს საქართველოს კონტროლირებულ ტერიტორიაზე ოფიციალური წარმომადგენლობა არ აქვს, თუმცა მისი ცენტრები ფუნქციონირებენ საქართველოს მეზობელ სახელმწიფოებში – თურქეთში (ყარსი), სომხეთსა (ერევანი) და აზერბაიჯანში (ბაქო), რითაც საქართველოს გარშემო „რუსული სამყაროს“ სარტყელს ქმნიან. აღსანიშნავია, რომ თანამემამულების მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი მსგავსი ცენტრების ლეგიტიმუ-

²⁵ CBSN (2015). Charlie Rose Interviews Vladimir Putin. [ვიდეო], წვდომის თარიღი 01 მარტი, 2018, ხელმისაწვდომია – <https://www.youtube.com/watch?v=r8k2pWbCjrw>

²⁶ Georgian Russian Public Center (Feb. 2018) В Общественном Центре Состоялась Лекция в Связи с Грузино-Абхазским Конфликтом [Lecture on the Georgian-Abkhazian Conflict took place at the Premises of the Georgian-Russian Public Center], წვდომის თარიღი 28 მარტი, 2018, ხელმისაწვდომია – <https://www.facebook.com/pg/rusgeocenter/notes/>

²⁷ The Coordination Council for Russian Compatriots Communities in Georgia – <http://korsovet.ge/>, წვდომის თარიღი 25.03.2018.

²⁸ ROSSOTRUDNICHESTVO – Federal Agency for the Commonwealth of Independent States Affairs, Compatriots Living Abroad, and International Humanitarian Cooperation, wvdomis TariRi 25.03.2018, ხელმისაწვდომია – <http://rs.gov.ru/en/contacts>

რად ფუნქციონირების ოფიციალური საფუძველია, თუმცა ეს ორგანიზაციები დაფუძნებულია ეთნიკური უმცირესობებით, მაგალითად სომხებითა და აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში²⁹. შესაბამისად, არა რუსი ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებთან კომუნიკაცია კითხვებს აჩენს ამ ცენტრების მიზნების შესახებ.

გავლენა დემოკრატიზაციის პროცესზე. ეთნიკურ უმცირესობებს უფლება აქვთ ჰქონდეთ ორგანიზაციები, რომლებიც წარმოადგენენ და დაიცავენ მათ ინტერესებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ეთნიკური უმცირესობა ნაკლებად არის ინტეგრირებული საზოგადოებაში. თუმცა, ასეთი ორგანიზაციების საქმიანობა არ არის გამჭვირვალე – ფინანსების, ორგანიზაციული მიზნების, მოქმედების არეალისა და დაგეგმილი ღონიძებების მიმართულებით. ორგანიზაციების ვებ გვერდების შემოწმებისას, უმრავლეს შემთხვევაში, არ მოიძენა, ან მოცემული ინფორმაცია იყო ბუნდოვანი და არასრული, რაც ორგანიზაციების მიზნებს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა. საქართველოში რუსეთის სახელმწიფოს მიერ კონტროლირებული არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი, სხვა პოსტ საბჭოთა სივრცის ქვეყნებთან შედარებით, შეზღუდულია. თუმცა, ასეთი ტენდენცია გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოს საზოგადოებაზე უარყოფითად იმოქმედებს დემოკრატიული კონსოლიდაციის მხარდაჭერაზე კონსენსუსის არსებობის თვალსაზრისით.

საქართველოში ორგანიზაციული ქსელის

ასამუშავებლად, რუსეთი იყენებს ტაქტიკას, რომელიც აღმოსავლეთ უკრაინაში 2004 წლის ნარინჯისფერი რევოლუციის შემდეგ დამკვიდრდა. უკრაინაში მსგავსი ცენტრები რუსეთის რბილი ძალის ნაწილი იყო, რომელთაც შეძლეს ათი წლის განმავლობაში უკრაინის მოსახლეობის ნაწილში ქვეყნის პროდასავლურ ორიენტაციასთან, მზარდ კორუფციასა და ენობრივ ბარიერთან დაკავშირებული უკმაყოფილების საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება, რამაც შექმნა ის სეპარატისტული პროექტი, რაც დღეს უკვე ნათლად გამოჩენდა.

ევროსკეპტიკურად და ანტიდასავლურად განწყობილი პარტიების მხარდაჭერა. რუსეთისთვის დემოკრატიზაციის პროცესში ჩარევის ყველაზე დიდი ისტორიის მქონე ბერკეტი ღიად პრორუსული, ანტიდასავლური და ევროსკეპტიკური შეხედულებების პარტიების მხარდაჭერაა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, განსაკუთრებით მოწყვლადი ის სახელმწიფოები იყვნენ, სადაც ეთნიკური რუსი უმცირესობის მნიშვნელოვანი ნაწილი სახლობდა, რაც პრორუსული პოლიტიკური პარტიებისთვის მნიშვნელოვან საარჩევნო კაპიტალს წარმოადგენდა. მაგალითად, როგორც ეს უკრაინასა და მოლდოვაში იყო³⁰. პრორუსული პარტიები ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმება ბალტიისპირეთის ქვეყნებშიც³¹. მოლდოვასა და უკრაინისგან განსხვავებით, საქართველოში ღიად პრორუსული პარტიები საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილნი არ ყოფილან. თუმცა, საქართველოში რუსეთი იმ სტრატეგიას იყენებს, რომელიც მან დასავლეთ ევროპის დემოკრატიული სახელმწიფოების საშინაო პოლიტიკაში ჩარევისას

²⁹ Список Организаций [List of Organizations] (2018) Russkiy Mir Foundation [ელექტრონულირესურსი], წვდომის თარიღი 03.03.2018, ხელმისაწვდომია – https://russkiymir.ru/catalogue/catalog.php?country=76&category=&set_filter=%CF%EE%EA%E0%E7%E0%F2%FC,

³⁰ Stratfor Worldview (2014) The Former Soviet Union Two Decades On. Assessments. [ელექტრონული რესურსი], წვდომის თარიღი 20 მარტი, 2018, ხელმისაწვდომია – <https://worldview.stratfor.com/article/former-soviet-union-two-decades>

³¹ იქვე.

გამოიყენა. ეს კი ევროპაში ევროსკეპტიკურად განწყობილი პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერაში გამოიხატება. პარტიების ოფიციალური რიტორიკა ეხება „შიდაპარტიულ და შიდასაპარლამენტო დიალოგს“ ევროკავშირსა და რუსეთს შორის არსებული უნდობლობის აღმოსაფხვრელად. თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებები უკვე გაფორმდა ავსტრიის ულტრა-მემარჯვენე პარტიასა და იტალიის „ჩრდილოეთ ლიგასთან“. რუსეთის დაფინანსება გამოვლინდა 2014 წელს საფრანგეთში, იმიგრაციის მოწინააღმდეგე მემარჯვენე ეროვნული ფრონტის შემთხვევაში³². პარტიის წარმომადგენლების განცხადებით, რუსეთთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია საერთაშორისო ტერორიზმთან და ტრადიციული ღირებულებების შენარჩუნებისთვის ბრძოლაში³².

საქართველოში, 2012 წელს შექმნილი „პატრიოტთა ალიანსი“ ევროპელი კოლეგების გზას დადგა, შექმნა არაფორმალური თანამშრომლობის ჯგუფი და რუს პარლამენტარებთან შეხვედრები გამართა³³. სხვა პოლიტიკური პარტიები, როგორიცაა „ერთიანი დემოკრატიული მოძრაობა/თავისუფალი საქართველო“, მიუხედავად იმისა,

რომ მარგინალურ პოლიტიკურ ძალად იქცა, ხშირად სტუმრობს მოსკოვს და დასავლეთთან ინტეგრაციის არარეალისტურობასა და რუსეთთან ურთიერთობის პრაგმატიულ მიღების უსვამს ხაზს³⁵.

გავლენა დემოკრატიზაციის პროცესზე. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ნაწილზე რუსული და პრორუსული ორგანიზაციების გავლენის შედეგის შეფასება რთულია, ევროსკეპტიკურად და პრორუსულად განწყობილი პოლიტიკური პარტიების პარლამენტში მოხვედრა საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესს საფრთხეს უქმნის. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, პარლამენტში პირველად მოხვდა ლიად ევროსკეპტიკურად და პრორუსულად განწყობილი პარტია, რამაც შესაძლოა შეასუსტოს საქართველოს ევროპული არჩევანის გარშემო არსებული კონსენსუსი, როგორც დემოკრატიზაციის წინაპირობა³⁶.

დასავლეთში, რუსეთის დიდი სტრატეგია სათანადოდ უნდა შეფასდეს, რადგან ევროკავშირისა და აშშ-ს გარეშე დემოკრატიზაციის პროცესს, შესაძლოა, საფრთხე დაემუქროს. შიდაპოლიტიკური პრობლე-

³² Graff, G., Newman, L., Lapowsky, I., Greenberg, A. and Greenberg, A. (2018). Russia's High Tech Tool Box for Subverting US Democracy, A (Semi-Complete) Guide. [ელექტრონული რესურსი] WIRED, წვდომის თარიღი 03 მარტი, 2018, ხელმისაწვდომია – <https://www.wired.com/story/a-guide-to-russias-high-tech-tool-box-for-subverting-us-democracy/>

³³ Themoscowtimes.com. (2016). Putin's United Russia Signs Cooperation Agreement With Far-Right Austrian Party. [ელექტრონული რესურსი], წვდომის თარიღი 12 თებერვალი, 2018, ხელმისაწვდომია: <https://themoscowtimes.com/news/putins-united-russia-signs-cooperation-agreement-with-far-right-austrian-party-56579>; RT International. (2018). United Russia party signs cooperation agreement with Italy's Lega Nord. [ელექტრონული რესურსი], წვდომის თარიღი 03 მარტი, 2018, ხელმისაწვდომია – <https://www.rt.com/politics/379737-united-russia-party-signs-cooperation/>

³⁴ Duma.gov.ru. (2017). Л.Калашников встретился с грузинскими парламентариями [L. Kalashnikov met Georgian MPs] [ელექტრონული რესურსი], Accessed on -07.03.2018, Available at - http://www.duma.gov.ru/news/273/2097727/?phrase_id=2880112

³⁵ რუსეთის ხისტი და რბილი ძალის საფრთხეები საქართველოში [Russia's Hard and Soft Power Threats in Georgia]. (2016). [ელექტრონული რესურსი] Tbilisi: European Initiative - Liberal Academy Tbilisi, 126 pages, wvdomis TariRi 06 marti, 2018, xelmisawvdomia - <http://www.ei-lat.ge/rusethis-gavlena-saqarthveloshi.html?lang=ka-GE>

³⁶ Levan Avalishvili(2016) Parliamentary Election Results - Challenges of Democratic Development in Georgia, IDFI [ელექტრონული რესურსი], წვდომის თარიღი 30 მარტი, 2018, ხელმისაწვდომია – <https://idfi.ge/en/results-of-2016-parliamentary-elections-in-georgia-challenges-on-its-way-to-democratic-development>

მებით მოცულ დასავლეთს, შესაძლოა, დემოკრატიზაციის პროცესში მყოფი ქვეყნებისთვის ინტეგრაციის შეთავაზების პოლიტიკური ნება არ ჰქონდეს, რამაც, შესაძლოა, საზოგადოებაში უკმაყოფილება გამოიწვიოს და შეამციროს იმ პოლიტიკური პარტების მხარდამჭერთა რიცხვი, რომლებიც საბოლოო მიზანს დემოკრატიულ კონსოლიდაციაში ხედავენ.

დასავლეთში, რუსეთის სტრატეგიის უმთავრესი მიზანი, 2013 წელს უკრაინაში დაწყებული კონფლიქტის შემდეგ დაწესებულ სანქციებზე კონსენსუსის შესუსტებაა. რაც უფრო იზრდება რუსეთის პარტნიორი

ულტრა-მემარჯვენე და ულტრა-მემარცხენე პოლიტიკური პარტიების რიცხვი ევროპაში, მით უფრო მეტად ხვდებიან მსგავსი პარტიები საკანონმდებლო ორგანოში და მთავრობის ფორმირებაში იღებენ მონაწილობას და, შესაბამისად, მეტი მოწოდებები ისმის სანქციების მიმართ ლიბერალური პოლიტიკის გატარებასა და მათ საბოლოოდ გაუქმებაზე. შესაბამისად, აუცილებელია საარჩევნო კამპანიების დროს კიბერ თავდახმებთან ერთად, არჩევნების შედეგებზე ზეგავლენის მქონე იმიგრაციის საწინააღმდეგო და ქსენოფონბიური რიტორიკის მქონე პოლიტიკური პარტიების სათანადოდ შეფასება.

დასკვნა და რეკომენდაციები

რუსეთი ლიბერალურ-დემოკრატიულ მსოფლიო წესრიგის საფუძვლების შერყევისთვის დიდ სტრატეგიას (grand strategy) იყენებს. მაშინ, როდესაც ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, კრემლის წარმატებას ხელი შეუშალა ბალტიისპირეთის ქვეყნების დემოკრატიზაციის პროცესში, მოსკოვი მიზნად ისახავს ჩაშალოს აღნიშნული პროცესი მის ახლო სამეზობლოში, კერძოდ კი – საქართველოში, უკრაინასა და მოლდოვაში. კრემლის სტრატეგია მრავალ-წახნაგოვანია: თავდაპირველად, რუსეთი დემოკრატიზაციის პროცესში მყოფი საზოგადოების თვალში დემოკრატიის ხელშეწყობის დისკრედიტაციას კონსოლიდირებული დემოკრატიების სისუსტეების გამოვლენით ცდილობს. ამასთან, კრემლი ხაზს უსვამს მთავრობის უუნარობას ან/და ნების არქონას, გაატაროს რეფორმები და მოიპოვოს მოსახლეობის ნდობა. ამ მხრივ, რუსეთის მიერ დასავლეთსა და საქართველოში გამოყენებული სტრატეგიები ერთმანეთის მსგავსია: იმ საკითხებით აპელირება, რომელიც პოტენციური განხეთქილების წყაროდ შეიძლება იქცეს და პროპაგანდის მეშვეო-

ბით განხეთქილების გაღრმავება, პოლიტიკურ სივრცეში და სამოქალაქო საზოგადოებაში მოკავშირეების/სანდო პირების გამოყენება, და რუსეთის კრიტიკის შემთხვევაში, საზოგადოებისთვის არსებული საფრთხის მუდმივად შეხსენება.

ამ გამოწვევაზე საპასუხოდ და დემოკრატიზაციის პროცესში მიღწეული წარმატებების შესანარჩუნებლად, საქართველოს მთავრობამ, საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, კარგად დაბალანსებული და ფრთხილი სტრატეგია უნდა გაატაროს და ამასთან, უნდა შეინარჩუნოს პრაგმატული ურთიერთობები რუსეთთან. პოლიტიკის წარკვევში წარმოდგენილი რეკომენდაციები იყოფა სამ ნაწილად: რეკომენდაციები, რომელიც ეხება რუსეთსა და მისი ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციებს; რეკომენდაციები, რომელიც პასუხობს შიდაპოლიტიკურ საკითხებს; და რეკომენდაციები პროაქტიული ღონისძიებების შესახებ, რუსული პროპაგანდის შესასუსტებლად.

რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისთვის:

- საქართველოს მთავრობამ უნდა გააცნობიეროს რუსეთის რეჟიმის მომძლავრებული ავტორიტარული ხასიათი და ყურადღებით დააკვირდეს რუსეთის ახლადარჩეული პრეზიდენტის ადმინისტრაციის გზავნილებს. 2018 წლის არჩევნების დასრულებასთან ერთად, ვლადიმერ პუტინი წარმოადგენს მომდევნო ექვსი წლის მანძლზე რუსეთის მისეულ ხედვას. საქართველოს მთავრობა უნდა დააკვირდეს იმ გზავნილებს, რომლებიც მას ორმხრივი ურთიერთობებისას საკუთარი სტრატეგიის ჩამოყალიბებაში დაეხმარება;
- უნდა მოხდეს უკრაინაში, საქართველოსა და მოლდოვაში რუსეთის ქმედებების გამოაშკარავების, წინააღმდეგობის გაწევისა და რუსეთის ჩარევის თავიდან აცილების გამოცდილების გაზიარება, რაც საშუალებას მისცემს დომოკრატიზაციის პროცესში მყოფ სამ ქვეყანას - შექმნან ერთიანი ფრონტი რუსეთის წინააღმდეგ; ბოლო დროს, უკრაინასა და საქართველოს შორის ურთიერთობების გაციების ფონზე, უნდა აღდგეს მუდმივი კონსულტაციების პლატფორმა სამ ქვეყანას შორის თანამშრომლობის განსამტკიცებლად.
- საქართველოში სათანადოდ უნდა შეფასდეს „რუსი თანამემამულების იურიდიული დახმარების ცენტრების“ მნიშვნელობა. სახალხო დამცველის აპარატმა, იუსტიციის სამინისტროსთან თანამშრომლობით უნდა უზრუნველყოს ეთნიკური უმცირესობების პირველადი იურიდიული დახმარება და თავიდან უნდა იქნას აცილებული შუამავლების ჩარევის საჭიროება. უნდა შეიქმნას მონიტორინგის მექანიზმები იმისათვის, რომ განეული იურიდიული დახმარება საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოვიდეს.
- ინოვაციური კიბერუსაფრთხოების გამოცდილების გაზიარება და ამომრჩეველთა მონაცემების (ცესკოს წარმომადგენლების ტრენინგი) უკეთესი დაცვა პრიორიტეტი უნდა გახდეს რუსეთის მხირდან მართული შეტევების თავიდან აცილებისა და საარჩევნო შედეგების სანდოობის ხარისხის შენარჩუნებისათვის.
- ხელისუფლებამ უნდა გააგრძელოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით მიღებული სარგებელის შესახებ ინფორმაციის გავრცელება. 2017 წელს ასოცირების შეთანხმების/ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხებისა და ვიზალიბერალიზაციის შესახებ მოსახლეობაში ჩატარებული საინფორმაციო კამპანიები წინ გადადგმული ნაბიჯია. იმის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ინფორმაციას ტელევიზიით იღებს, მნიშვნელოვანია, ეს პლატფორმა რუსულ პროპაგანდასთან საბრძოლველადაც იყოს გამოყენებული.
- ხელისუფლებამ, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და საერთაშორისო დონორებთან თანამშრომლობით, ხელი უნდა შეუწყოს მედიის წარმომადგენლების ტრენინგებს რუსული პროპაგანდის მეშვეობით გავრცელებული ცრუ ინფორმაციის იდენტიფიცირებისა და ფაქტების გადამოწმებისთვის.

რეკომენდაციები საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის:

- საერთაშორისო დონორებმა, რომლებიც ხელს უწყობენ დემოკრატიზაციის პროცესს, უნდა გააცნობიერონ, რომ მათი მხარდაჭერის გარეშე, საქართველო ვერ შეძლებს რუსეთისგან მომდინარე კომპლექსურ გამოწვევებთან გამკლავებას. უწყვეტი მხარდაჭერა დაეხმარება მთავრობას გააგრძელოს დემოკრატიული რეფორმები რუსეთისგან მომდინარე ზენოლის მიუხედავად.
- საერთაშორისო დონორებმა უნდა განაგრძონ იმ კვლევებისა და ანგარიშების დაფინანსება, რომლებიც მონიტორინგს უწევენ დემოკრატიული მმართველობის მიმართ ნდობის ხარისხის შესამცირებლად რუსეთის მხრიდან გავლენის მოხდენასა და ამპროცესში გამოყენებულ მექანიზმებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს რუსეთის ზემოქმედების შესაძლო სცენარებს, ასევე ისეთ ნაკლებად შესწავლილ მიმართულებებს, როგორიცაა არჩევნებზე განხორციელებული კიბერ შეტევები;
- საქართველოსთვის მომგებიანი იქნება ჰიბრიდულ საფრთხეებზე საპასუხო, ისეთი ცენტრის შექმნა, სადაც კრემლის მიერ გამოყენებული სტრატეგია ერთი ქოლგის ქვეშ იქნება მოქცეული, ფინეთში შექმნილი ცენტრების მსგავსად. თუმცა, საერთაშორისო დონორების მხრიდან მნიშვნელოვანი დაფინანსების გარეშე ამის განხორციელება რთული იქნება. ცენტრი უნდა გახდეს რეგიონის ქვეყნებს შორის გამოცდილების გაზიარების პლატფორმა.
- ევროკავშირმა უნდა განაგრძოს საქართველოს მიმართ დემოკრატიული პირობითობის გამოყენება, რომლის მიხედვითაც რეფორმების პროცესის შეუქცევადობის მიზნით, ნებისმიერი უკან გადადგმული ნაბიჯი ზენოლის ქვეშ მოექცევა; ამ გზით, რუსეთის მავნე ზეგავლენას დაუპირისპიდება ევროკავშირის მხრიდან მოქმედების პოლიტიკური ნება.
- რადგან საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი როლი გააჩნია საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, საერთაშორისო დონორებმა უნდა გაზარდონ იმ პროექტების რიცხვი, რომელიც ხელს შეუწყობს ქართველ მღვდელთმსახურებსა და დემოკრატიზაციის პროცესში მყოფი ქვეყნების, მათ შორის რუმინეთის, სერბეთის, საბერძნეთის, უკრაინისა და მოლდოვას მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლებს შორის დიალოგს. მსგავსი დისკუსიების შედეგები უნდა გავრცელდეს საზოგადოებაში. ევროკავშირის წევრ ან წევრობის კანდიდატი ქვეყნების მღვდელთმსახურებთან კომუნიკაციას, შეუძლია საზოგადოებრივ აზრსა და დემოკრატიზაციის პროცესზე რუსეთის უარყოფითი გავლენის შეამციროს.



ISBN 978-9941-480-04-1

A standard linear barcode representing the ISBN number 9789941480041.

9 789941 480041